

# საბრძოლო

ეროვნული  
ბიზნისი

საერთო ბაზარი ბაზრის 1990 წლის 28 დეკემბერიდან საშუალო, 18 ნომერი 1997 №147 (512) ფასი 40 თეთრი

## ბესო ლიპარტიანი ლეგიონერების იმედი აქვს

### 26 ნოემბერს კალთბურთელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი იწყება



დღეს უკეთ უნდა ვითამაშოთ, ვიდრე გუშინ!

საქართველოს კალთბურთელთა ეროვნული ნაკრები ევროპის პირველობის ახალ შესარჩევი ციკლს იწყებს. მას ერთი კვირის განმავლობაში სამი საბასუხისმგებლო შეხვედრა უწევს ჩეხეთის, შვედეთისა და თურქეთის გუნდებთან. კალთბურთის მოყვარულთა ინტერესი ამ მატჩებისადმი გასაგებია — ჩვენმა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის წინა შესარჩევი მატჩებში საკმაო გამოცდილება შეიძინა და ახლა მისგან უფრო მეტს ელოდებიან. ამიტომ ნაკრების ხელმძღვანელობამ გუშინ სპორტის სასახლეში პრესკონფერენცია გამართა. ურნალისტებს შეხვედრენ გუნდის უფროსი ვადიმე ხუბაშვილი და მწვრთნელები — ბესიკ ლიპარტიანი და ნიკოლოზ ქორეია.

— ამ შეხვედრებისთვის ნაკრებში თითხმები კაცია გამოასახული — გვთხრა გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ბესიკ ლიპარტიანმა — **ირაკლი ხოშტარია, ვლადიმერ ბეკანიშვილი (დინამო), ვია სანაძე, მამუკა ტურაშვილი (სლასუ), რამაზ ვოგობერიშვილი, ირაკლი ჯაფარიძე (საზოტი), მამუკა აბრამიძე (სეითა), ირაკლი ნიკარაძე (თსუ), დავით ტალაძე (მედიკი), ვლადიმერ სტეფანია (ოლიმპია), ლიუბლიანა, სლოვენია), დავით ბერძენიშვილი (სლოვაკი ფარმა), პეზნიოკი, სლოვაკეთი, რეზო ჩხეიძე (სპარტაკი), თელავი, ირაკლი, ვახტანგ ნაკლიაშვილი (სპარტაკი), ვარსა, ბულგარეთი), ირაკლი ვაშაძე (სპარტაკი), მოსკოვი, რუსეთი).** ამათგან 10 მოთამაშე შეირჩევა.

— ეს **ოპტიმალური შემადგენლობაა** — რა თქმა უნდა, არა. სამწუხაროდ, არ გვეყოლება ამ მატჩებში ლევან ქარაბაგი, რომელიც ფინეთში, ქალაქ კარინა გუნდში თამაშობს. ლევანმა მუხლის ოპერაცია გაიკეთა და ძალიერ გაირკვევა რამდენი ხნით გამოგაკლდა. მინდობდა, საბერძნეთიდან დავით უსტიაშვილიც გამოემხა, მაგრამ მან ერთ ფეხზე ოპერაცია გაიკეთა და ახლა მეორეს უჩივის. ახლად თათი შევიკავე კახა შენგელიას მოწვევაზეც კახას წელის ტრეკილმა გაურა და სანკტ-პეტერბურგის „სპარტაკში“ თამაშობს. ნაკრებში მივიწვიეთ რუსთაველი ვლადიმერ ბოისაც, მაგრამ იგი დღეს მინდობდა გაემგზავრა. მისი შექმნილი ლიბრეტოსა და ადგილობრივი „ოლიმპია“ და ვოვაც ერთი თვით იმ გუნდში გაჩერდება გასასინჯად.

— ლეგიონერების შესახებ რა ინფორმაცია გაქვთ?

— სტეფანია, მოგეხსენებათ, ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდში, „ოლიმპიაში“ თამაშობს და გუნდის ერთ-ერთი ლიდერად იქცა. ნაკლიაშვილის გუნდი კორინთის თასზე ასპარეზობს. ვატო ჩინებულ ფორმაშია, თითო მატჩში დაახლოებით 38 წუთს ატარებს მოედანზე და საშუალოდ 25-28 ქულას აკეთებს. ბერძენიშვილის გუნდი მონაწილეობს ევროთასებზე და დროც სისტემატურად გამოდის მოედანზე. უკვე მოსკოვის „სპარტაკს“ ძირითად შემადგენლობაში ირაკლი ვაშაძეც, რეზო ჩხეიძეც კი სულ ერთი თვეც არაა, რაც ისრაელში თამაშობს. მოკლედ, ჩემი ინფორმაციით, ლეგიონერები კარგ ფორმაში არიან და მათი დიდი იმედი გვაქვს.

— თბილისში დარჩენილებზე რას იტყვით?

— ჩვენ ოქტომბრის დასაწყისიდან შევუდევით ამ თამაშებისთვის მზადებას. ჯერ ფიზიკურ მომზადებაში ვეარჯიშობდით, შემდეგ საქართველოს ჩემპიონატი დაიწყო, თუმცა, ვარჯიშს მაინც ვახერხებდით, ახლა უკვე ბურთით. ჩვენს ჩემპიონატში ბევრი დამატებითი მატჩი იყო, მაგრამ სათანაოდ დონე ჩემი აზრით, დაცვა რადგან წამყვანმა კალთბურთელებმა უცხოეთს მიაშურეს.

— გუნდში გამომამხმელის პრობლემაა?

— გეტანხმებით. თუმცა, ჩვენ გვყავს ძლიერი მეორე ნომრებიც რომელთაც საჭიროების შემთხვევაში გამომამხმელობაც შეუძლიათ.

— მისურბაძე თუ არის ნაკრებში?

— ამჟამად არა, მაგრამ იგი ჩვენ შევუდევთ გვყავს. საქმე ისაა, რომ მისურბაძე დასაბრუნებული იყო და საქართველოს პირველობის მატჩებზე ტრავმამოუშუშებელმა ითამაშა.

— საქართველოს პირველობის მატჩებში კარგად ჩაატარა ირაკლი ჯაფარიძემ?

— სამწუხაროდ ირაკლისაც ხელი აწუხებს. თანაც ჯაფარიძეს საქართველოს ჩემპიონატში, ფაქტობრივად, კონკურენტი არ ჰყავს, ნაკრებში კი მის ადგილზე დიდი კონკურენციაა — ჩემი ლეგიონერები ძირითადად ამ ამპლუაში თამაშობენ.

— მეტოქეებზე რა იცით?

— ჩეხეთის გუნდს შარშან საკვალი-ფიკაციო ტურნირზე შეხვედით და ყველაზე უკეთაც ვიცნობთ. მათ ძალზე ტან

## ახალკაცმა ბერძენიანმა უეფაში შეიარა

„დინამოს“ პრეზიდენტი მერაბ ჟორდანიას თქმით, ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი გერმანიაში სამკურნალოდ კი წაიღია, მაგრამ მანამდე მან ფეხვალში, უეფას შტაბ-ბინაში ერიპ ველესთან შეიარა. ისაუბრეს იმ თანხებზე, რომელიც უეფამ უნდა გამოუყოფს ეროვნულ სტადიონს. ჟორდანიას სიტყვებით უეფაში „დინამოს“ უეფადან მიღებული ფაქტით შეიტყო, რომ შესაძლოა, ეს დახმარება ჩვენს სტადიონს აღარც გაუწიონ.

## ჯამარაულიც საოპერაციოც

ლევან კობიაშვილისა არ იყოს, შესაძლოა, დეკემბერში გოჩა ჯამარაულიც საოპერაციო შეიქნეს. მიზეზი იგივეა — საზარდული.

გოჩას გუშინ ტრამპონში შეეხმანათ იმ იმედით, რამე სასიხარულოს გაიგებდით. „ტრამპონში“ ხომ ბოლო ტურში „ქაისერის“ სძლია 2:0. მანამდე სტამბულში უშუალო კონკურენტი „გალათასარაის“ ფრედ ეთამაშა და ცხრილშიც მესამედან მეორე საფეხურზე აინაცვლა, ლიდერი „ფენერბაჩის“ ოთხი ქულით ჩამორჩება. პოლა, დავრეკეთ, გოჩას საქმეებით დაინტერესდით, მან კი ნაღველიანი ხმით გვითხრა:



გოჩა ჯამარაული

— „ქაისერისთან“ ბოლო ათი წუთი ვითამაშე, საზარდული საშინლად მტკიცეა, ისე რომ ნაბიჯის გადადგმაც მიჭირს. გუნდის ექიმები კი მწამლობენ, მაგრამ როდემდე გაგრძელდება ასე ზუსტად ვერ გეტყვით. ფიზიკური დატვირთვების მიღებაზე ლაპარაკიც ზედმიტევია. აქაურები მეუბნებიან, პირველი წრის ბოლომდე თუ არ გავიარა ტყვილეტა, მაშინ ჩვენ ვიმკურნალეთ თურქეთის კლინიკაში. არადა, აქ მკურნალობა არ ღირს, უკვე აღარაფერში ვენდობი, გერმანია მირჩევნია. იმ სამი თვის ხელფასი კიდევ არ მოუციათ, უეფაში ჩივილი მომიწევს ილმანის მოყვანილი სამი ფეხბურთელივით. ადრე რომ გითხარით, კლუბის პრეზიდენტი ილმანის მოწვეული ფეხბურთელებისთვის ხელფასი საერთოდ არ მოუციათ-მეთქი, სწორედ მათ იჩივლეს უეფაში, ახლა მეუბნებიან, სანამ დროა, ჩვენ მოვგვაბე უეფას ჩარევის შემდეგ უფლებს უეფელად მოგვექმნო. ფეფირობ, ცოტასაც მოვიტყენ და მართლაც ასე მოვიქცევი. ამ თანხას ნაღვად არ შევარჩენ.

რაც შეეხება ბოლო დროს ჩვენში გაერკვებულ ცნობას, თითქოს „მორკინალის“ ფეხბურთელები კახა გოგოლაძე და ზაზა ზირაქიშვილი მენეჯერი ილია კოკაიას დახმარებით „ტრამპონში“ აპირებენ თამაშს გაგრძელებას, გოჩას თქმით, არაფერი გაუგია, კაციშვილს არ უთქვამს მისთვის ქართველების დამატებას ვაპირებთო. ისე კი მწვრთნელს თურმე კარგი ფორვარდები ნამდვილად ესაჭიროება.

— ღმერთმა არ ქნას, მეორე ქართველიც საოპერაციო მაგიდაზე აღმოჩნდეს, იმედია, ყველაფერი კარგად იქნება.

## ძველი ბიჭები რჩებიან

ევროპის ოლიმპიური კომიტეტების თავკაცებად ისევ ძველები აირჩიეს: სტოკ-ჰოლმში, ევროპის ეროვნულ გენერალურ ასამბლეაზე პრეზიდენტად კვლავ ბელგეიელი ფაკ როვი აირჩიეს, გენერალური მდივანი, იტალიელი მარია პესკანტი, ისევ ამ რანგში გააგრძელებს საქმიანობას, ვიცე-პრეზიდენტი ირლანდიელი პატრიკ კიკი იქნება. ბოლო ორი თავიანთ ქვეყნების ოლიმპიურ კომიტეტებსაც ხელმძღვანელობს. ევროპული ოლიმპიზმის მამების სტოკჰოლმის ასამბლეაში მონაწილეობდნენ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ჯანო ბაგრატიონი და გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი.

## ლელოს ათი ნუთი უბრიალეს

ბუშინ ვაკეში რაბაზის ეროვნული პირველობის ბოლოსწინა ტურის მატჩი იყო. მასში მასპინძელმა „ლოკომოტივმა“ ბებერი მორკინალები: ვია ვიუნაშვილი, თამაზ ხუაფე და რეზო ჯაფარაშვილი ათამაშა, რადგან პლეიოფი კარსაა მომდგარი და ნახევარფინალში მტკიცე იგივე — რუსთავის „აზოტი“ ეყოლება.

პირველი ტაიმი ფრედ 10:10 დასრულდა. მე-20 წუთზე რუსთაველმა ემზარ ძაგნიძემ საჯარიმო შეაგდო, 28-ზე კი თბილისელმა ვასიკო კაცაძემ ვინაც „ბორჯღალოსანთა“ მწვრთნელ გურამ მოდებაძეს ნაკრების შერკინების მომავალ ყოჩად ესახება, მტრეთის დაცვა გააარღვია და თანაგუნდელებიც რომ მიეშვლებნენ, ლელოში შეაღწია წამ.

თბილისელთაგან კაცაძე და აჩიკო კობახიძე გამოირჩიოდნენ, რუსთაველთაგან — ემზარ ძაგნიძე და პაატა მოწინიძე. 33-ე წუთზე სწორედ ამათი წყალობით ვაიჭრა „აზოტი“ წინ: ემზარის გარეგნული ლელოთი პაატამ დააგვივინა, ძაგნიძემ კი გარდასახვა შეაგდო 5:10. ზედ შესვენების წინ ჯაფარაშვილმა ფინტით ვაიტანა ლელო 10:10.

მეორე ნახევრის მე-5 წუთზე რუსთაველი გვლა ფიცხალავას სოლო-ლელო ძაგნიძემ გარდასახა 10:17. მეორე „ლოკომოტივმა“ ბარემ ათი წუთი უტრიალა მტრეთის ლელოს, მაგრამ ბურთი კვლავ სტუმრებმა ვაიტანეს: პაატა ჯიმშელაძის წამოწყებული იერიში თამაზ ლობჟანიძემ 78-ე წუთზე დააკვივინა. ძაგნიძემ გარდასახვა ზუსტად დაარტყა „აზოტი“ 24:10 გაიმარჯვა და კვლავაც მეორე ადგილზეა.

რაულ ფხველიძე

ბიზნისი

საბრძოლო











თიბრანი-97

ავსტრალია დიდი სირთულის წინაშე დგას. ამ ქვეყნის დროით ორშობილ დილას მან შეტყობა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ აზიურ ზონაში იაპონიამ ირანს 3:2 მოუგო. ეს იმას ნიშნავდა, რომ ავსტრალიელებს მეტოქე ირანი, რომელთანაც სტუმრად და მინ, ორ შეხვედრაში მოუწევს საფრანგეთის უკანასკნელი საგუნდო ბრძოლა. პირველი შეხვედრა 22 ნოემბერს, შაბათს თიბრანში გაიმართება, მეორე კი 29-ში მოხდება.

ზემოთ სირთულე გასტყობს, ახლა განმარტებული ტერიტორიების და მის გუნდს აშკარად ურჩევნიათ მათი მეტოქე იაპონიის ნაკრები ყოფილიყო. საქმე ისაა, რომ ავსტრალიელი ფეხბურთელები დედამიწის სხვადასხვა კუთხეს არიან მოდებული, ამ დღეებში კი ერთად, ირანში უნდა მოიყარონ თავი. შეხვედრის ადგილად იაპონია, რომ რეგულარია, ყოველგვარი ნერვოზობის გარეშე შეიძენდნენ ტოკიოსკენ მიმავალი თვითმფრინავების ბილეთების ტოკიოში ხომ ცივილიზებული სამყაროს ნებისმიერი წარმომადგენელი დაფრინავენ თვითმფრინავები, ახლა კი ერთობ როულად მოსაწყვე ქალაქში, თიბრანში არიან ჩასასვლელი.

შესარჩევი შეჯიბრების თავისებურებათა გამო ჩვენი მეტოქის ვინაობა მხოლოდ ორშობილს გავიგებთ. მართალი ვითრებათ ასე უნდად ჩასვლისთვის, მსოფლიოში უარესი ადგილი არ შეგულება. მგზავრობისა და მოწყობის თვალსაზრისით ნამდვილი კომპარტი გვერგო. — თქვა ავსტრალიის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარემ დევიდ ჰოლმა მან დასძინა, რომ თიბრანში ჩასვლის გეგმა ჯერ შედგენილი არ აქვთ, მაგრამ ფეხბურთელებმა უკვე დაიწყეს ირანისკენ გადაადგილება. ევროპაში მოთამაშე წამ ფეხბურთელებმა ორშობილს დიდი დევიდ მათი სურს ლონდონის აეროპორტს და ლუბას თვითმფრინავში ჩასხდნენ. დანარჩენები, ავსტრალიასა და იაპონიაში რომ არიან, თავმოყრილი სინგაპურის ვაზს უნდა დასდგონ მოდენ, რათა იქედან შეერთდნენ საამიროებში ჩასულ „ევროპელებს“.

პოლის განცხადებით ავსტრალიის ფეხბურთის ფედერაცია თიბრანიდან უკან დაბრუნებაზე იმტერებს თავს. მათი პირველი იდეა ასეთია: აპირებენ თვითმფრინავის დაქირავებას, რათა თამაშის შემდეგ დაუყოვნებლოვ დასტოვონ ირანი და დაბრუნდნენ რეისს უნდა მიაწვრონ. და მინც ბოლო სიტყვა ტერიტორიების ეკუთვნის.

— ირანი საერთაშორისო ფეხბურთში დიდი ხნის წინ დამკვიდრებული ქვეყანაა, მაგრამ კეთილმოწყობისა და მიმოსვლის თვალსაზრისით საკმაოდ ჩამორჩენილია — თქვა ვენეციელმა — დღესათვის საქმეს ისეთი პირი უნდას, რომ ჩვენ ძირითადად დედაში ვიქნებით, საიდანაც თიბრანში თამაშის წინ ან სულაც იმ დღეს ჩავალთ. დედაიდან თიბრანამდე ხომ საკმაოდ ხანმოკლე ფრენა მოგვწევს.

თავმჯდომარემ ისაუბრა იმის თაობაზე, რომ ავსტრალიელები ირანში თავის საკვებას და წყალსაც ჩაიტანენ. გარდა ამისა ისინი მუდმივ კამპარში არიან საგარეო საქმეთა სამინისტროსთანაც, რომელიც მათ მუდმივად აწვდის ცნობებს ირანის მეზობლად, ერაყში მიმდინარე პროცესების შესახებ.

სასრულის ყურეში მდგომარეობა ერთობ დამაბულია და როგორც ვეთხრეს უახლოეს მომავალში შეიძლება მორიგი ომიც ატყდეს ამის თაობაზე ფიფაკ სწუხს და თუ იქ რამიმ საფრთხე შეიქმნება, თამაშს არ ჩაატარებენ — და აგვირგვინა ჰოლმა.

გარდა მგზავრობისა და საკომპიუტერი პრობლემებისა, ირანთან შეხვედრამ ავსტრალიელებს ფინანსური დარტყმაც მიაყენა. მათი მეტოქე იაპონია რომ ყოფილიყო, ისინი ტელეტრანსლაციიდან გერან გამორჩენას ნახავდნენ, ირანიდან კი ფულის იმედი არ უნდა ჰქონდეთ. შევასხენებთ, რომ ავსტრალია ოკეანის ვეგუფის გამარჯვებულია და მსოფლიოს ჩემპიონატის დასკვნით უტანაზე სათამაშოდ ირანს ადრეც შეხვედრია. 1974 წლის პირველობაზე მოსახვედრად თიბრანში 0:2 წააგეს, მაგრამ მინ იმარჯვეს 3:0, ხოლო ოთხი წლის შემდეგ ორივე შეხვედრაში მარცხი იქნენ.

იმ თამაშების მონაწილე ავსტრალიელი ვეტერანები კი დღევანდლებს აფრთხილებენ, ირანში მტრულ დახვედრას ელოდები.

საქართველო ტურნირი

სამხრეთი აპერიკა

ჩილე 3:0 ბოლივია  
ჩილე: ტაბია, კასტანედა, მარგასი, რეიხი, რობასი, აკუნია, მუსრი, სიერა (კარგო 82), ვეგა (ვალენსია 46), ბარერა (ნუნიესი 74), სალასი  
ბოლივია: ტრუჟო, რ. კასტილიო (სორია 46), რიბა, სანჩესი, სანდი, კრისტალი, ბალდივისო, ოჩინოპური, ტუფინო, ა. ფიფერი, მორენო (ს. კასტილიო 70)  
მხ ბარერა (24), 2:0 სალასი (41), 3:0 კარგო (85)

16 ნოემბრის დამეს ჩილეში არავის დაუძინია. ეს სულაც არაა გასაკვირი — ზუსტად 15 წლის შემდეგ ქვეყნის პირველი გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატზე გაეგია. დიდხანს, ოცნებობდნენ ჩილელები უპირველეს საფეხბურთო ტურნირზე მოხვედრაზე, მაგრამ ესპანეთში ჩატარებული მსოფლიოს ჩემპიონატიდან



ჩილეტა მეკარე ტაბია და მწვრთნელი აკოსტა მეცხრე ცაზე არიან

მოყოლებული, მუდამ ხელი ეშლებოდათ ხან თავიანთი მიზეზით, ხანაც... მაგალითად, ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირში თამაშს მათ ფიფამ აუკრძალა, აქაოდა 1989 წელს ბრაზილიასთან მატჩი ახირების გამო ჩაშალეთ. მოკლედ, დიდი ხნის ლობინი და გულიანობის შემდეგ ჩილე საერთაშორისო საფეხბურთო დარტყმა.

თამაშამდე ჯერ კიდევ სათანახვრით ადრე გაიჭრა სანტიაგოს 75 ათასიანი ეროვნული სტადიონი, სწორედ ის ნაგებობა, რომელზეც 1973 წელს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის გამართვა არ ისურვა საბჭოთა ნაკრებმა, ცხადია, პოლიტიკური მოსაზრებების გამო. სტადიონზე იყო ერთი სტუმარიც, რომლის თითოეული ნაბიჯი ჩილეში ზემოქმედებდა. იგი „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავაკი ალექს ფერგუსონი გახლდათ, რომელსაც მარსელო სალასის საქმეში ნახვა სურდა. მოგახსენებთ, ინგლისელებმა სერიოზულად მოიწადინეს ჩილეელი თავდაშემხმელის შექმნა და არგენტინელი „რივერ პლეის“ ზღაპრული თანხაც ალექსეს. რით დამთარება გარეგნა, არავინ იცის, მაგრამ ერთი რამ ცხადია, ფერგუსონი, თუ მას მართლა სურს სალასის შექმნა, სამშობლოში გულაცრუებული ნაღდად არ დაბრუნდებოდა.

შეხვედრას რაც შეეხება, იგი, ყველათვის მოულოდნელად, ბოლივიელთა უპირატესობით დაიწყო, მაგრამ გაჭედული სტადიონის მხარდაჭერით ფრთაშესხმულმა მასპინძლებმა დაახლოებით ათ წუთში ყველაფერი თავის ადგილზე დააყენეს. შუა ტაიმში კი ჯერ სამორანოს არეოფნაში მოთამაშე როდრიგო ბარერამ იხიერა ნახევარმცველი ხუან ლუის სიერას პასით, შესვენებამდე კი მარსელო სალასმა კრისტან კასტანედას გარჯა დაუფასა და მეორედ შეაგდო, რითაც, უეჭველად, ფერგუსონის მისი დაბრუნების სურვილი გაუთამაშა. შესვენების შემდეგ სიტუაცია არ შეცვლილა, მაგრამ ჩილე აშკარად ორკაც-ნაკლებ ბოლივიელს ეთამაშებოდა — ჯერ ხულიო ბალივიდოს გააგვეს მსაჯთან გაუთავებელი კამათის გამო, მეორე კი ფერნანდო ოჩინოპურს არ აპატიეს უხეშობა. შეხვედრის მიწურულს სამი წუთის წინ შესულმა ხუან კარენომ ერთი შეაგდო და მომავალი მსოფლიოს ჩემპიონატის მორიგი მონაწილეც გაარკვია.

მსაჯის სასტყენი და ჩილეში რამდენიმე დღიანი ზეიმის დაწყება თითქმის ერთი იყო. სანტიაგოს ქუჩები მოხეიმე

ჩილე 3:0 ბოლივია

ჩილელები გაიგეს. ამასობაში პრესკონფერენცია მიმდინარეობდა. იქ კი ივან სამორანომ, რომელიც შეხვედრას ტრიბუნლიდან ადევნებდა თვალს, განაცხადა, გული მწყდება, ბოლო მატჩებში რომ ვერ ვითამაშე, მაგრამ მერწმუნეთ, საერთაშორისო თავეს დაუვლებო.

პერუ 1:0 პარაგვაი

პერუ: ბალდრიო, ზორხე სოტო, ხოსე სოტო, რეინოსო, სოლანო, კარანა, პალაგიოსი (ბასალარი 65), პერეგა (რეზოსი 46), ზეგარა, დე ანდრადე (კარტი 56), მესტერი  
პარაგვაი: დიასი, არსე, სარაგია, გამარა, აიალა, სტროფე, კანიზა (ბრისო 73), ბენიტესი, ფინიზო, რობასი, სუარესი (კონსალესი 52)  
მხ ზორხე სოტო (36)

შუა შესარჩევი ტურნირში პერუს პარაგვაი რომ დამარცხებინა, ამას მოულოდნელობად აღიქვამდნენ, მაგრამ ბოლო ტურში, როცა პარაგვაისთვის ეს

ჩილე 3:0 ბოლივია

დარტყმა მთავრეს პარტენიას — წმ დაპირებეს. ამ შესწავლის დასაწყისი კარგს არა ტყუნს უკვლავ მასპინძლებს, მაგრამ მათ შემდეგ იძალეს და შეხვედრაც მართალია არც ისე სასურველად, მაგრამ შეურცხვენლად დამთავრეს. მატჩი შესარჩევი ტურნირის ეგიდით კი ტარდებოდა, მაგრამ იგი უფრო ამხანაგური იყო, რადგან ორივე გუნდმა საფრანგეთში თამაშს შესარჩევი ტურნირის დასრულებამდე განიხილა. ეს ჩვეულებრივი მატჩი იმით არის აღსანიშნავი, რომ ათეთიანი შესვენების შემდეგ ნაკრებს დაუბრუნდა გაბრეულ ბატის-ტუტა, თუმცა, ჯობდა, „ფორმის“ თავედამხმელს სულ არ ვითამაშა. მისი გაუყენებელიყოფა „ბოკა ხუნიორსში“ მოთამაშე ზორხე ბერმუდესმა ითავა და შესარჩევი კიდევ, რაც შეეხება კოლუმბიელთა გოლს, იგი 36 წლის (!) კარლოს ვალდერამამ შეაგდო, რომელიც ზემონახსენებლს 5:0 მოგებული მატჩის შემქმნელი იყო.

ურუგვაი 5:3 ეკვატორი

ურუგვაი: ნიკოლა, სანგინეტი, ალსუეტი, როდრიგესი (სილვა 85), ადონილი (კომბესი 71), ბარილო, ტიტო, სარალეგი, ლოპესი, აბრუე (კანობო 83)  
ეკვატორი: სებალინი, ს. ურტადო (კორნელი 63), ნორიეგა, მონტანო, დე ლა კრუზი, ბლენდინი, კარაგალი, გავინა, აგინგა, ს. ურტადო (ფრანდესი 63), გრაციანი  
მხ გრაციანი (2), მხ, 2:1 სარალეგი (4,12), 3:1, 4:1 აბრუე (48, 55), 4:2 გრაციანი (60), 5:2 აგილერა (65), 5:3 გრაციანი (67)

ეს უინტერესო მატჩი მხოლოდ იმიტომ ღირს სახსენებლად, რომ რვა გოლი გავიდა. მართალია, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონებმა იმარჯვეს და ეკვატორს ქულებით დაეწვიენ, მაგრამ არაფრისმოძმემ მეექვსე ადგილზე მაინც ეკვატორლები გაეგდნენ. სხვათა შორის, მათი სამივე გოლი წარმოშობით არგენტინელმა არიელ გრაციანიმ შეაგდო.

საბოლოო ცხრილი

არგენტინა	16	8	6	2	23:13	30
პარაგვაი	16	9	2	5	21:14	29
კოლუმბია	16	8	4	4	23:15	28
ჩილე	16	7	4	5	32:18	25
პერუ	16	7	4	5	19:20	25
ეკვატორი	16	6	3	7	22:21	21
ურუგვაი	16	6	3	7	18:21	21
ვენესუელა	16	0	3	13	8:41	3

კონკაკაზი

აშშ 4:2 სალვადორი

მაშ ასე, იამაიკა საფრანგეთში ითამაშეს. ეს პატარა ქვეყანა, რომელიც ძლიერ განვითარებული ტურნიზმით უფროა ცნობილი, კარიბეთის პირველი ინგლისურენოვანი წარმომადგენელია, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშეს. იამაიკელებს სანუკონარი საგზურის მოსაპოვებლად მხოლოდ ფრე სკირდებოდათ, რაც კოანბერხეს კიდევ, კონსტონის ეროვნულ სტადიონზე შეკრებილ 33 ათას იამაიკელი განუწყვეტელი გაიძახოდა — „საფრანგეთი, საფრანგეთი“, რითაც ფეხბურთელებს ავუღიანებდა.

მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრა ფეხბურთელებს ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა პატერსონმა მიულოცა, რომელმაც გასულ კვირას იამაიკას სპორტის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი დღე უწოდოდა.

და, კარიბეთის ქვეყნებიდან მსოფლიოს ჩემპიონატებზე აქამდე მხოლოდ კუბას, პაატს და სალვადორს უთამაშიათ. ისე, იამაიკას ბოლო სამი წელია, მინ არ წაუტოვია.

ლუზა გოლფაპი

საბოლოო ცხრილი

მექსიკა	10	4	6	0	23:7	18
აშშ	10	4	5	1	17:9	17
იამაიკა	10	3	5	2	7:12	14
კოსტა რიკა	10	3	3	4	13:12	12
სალვადორი	10	2	4	4	11:16	10
კანადა	10	1	3	6	5:18	6

უბარბელი ბასკი

კვირას „ვალენსიაში“ „ბეტისს“ მოუგო მხ, მაგრამ მინც ცუდად აქვს საქმე პრიმერა დივიზიონის ცხრილში მის შემდეგ მხოლოდ სამი გუნდია, რომელთაცან ორი, „ვალიადლიდი“ და „სალამარკა“ ვალენსიელთა წაბრძობების ელიან, რათა ადგილი გაუკავლონ. იკითხავთ, ესპანურ ფეხბურთზე სუბარბელი რაღა იმ გუნდებით დაეწვიეთ, სადაც ლიგის ფსკერთან რომ ცოდვილებენ. საქმე ის გახლავთ, რომ გარდა გამარჯვებისა, „ვალენსიას“ სხვაც ჰქონდა ღირსშესანიშნავი მისმა გოლკიპერმა, ანდონი სუბისარეტამ კვირას ესპანურ უმაღლეს ლიგაში მეექვსეაზე შეხვედრა ჩაატარა. ასეთი რამ ესპანეთში აქამდე არ ნახულა და არ გაგონილა.

სუბისარეტა ბასკია, 36 წლის. მისი პირველი შეხვედრა 1981 წლის 19 სექტემბერს შედგა. იგი მადრიდის „ატლეტიკოს“ ფორვარდებმა „მონათლეს“. მართალია, ბასკია გუნდმა, ბილბაოს „ატლეტიკომ“ მანში 0:2 წააგო, მაგრამ მათ ახალგაზრდა მეკარეს იმთავითვე უტყობოდა, რომ დიდი მომავალი ელოდა. 1986 წლის სუბისარეტა „პარსიკონაში“ გადავიდა, სადაც დიდებული რვა წელიწადი გაატარა. 1994-ში იგი „ვალენსიას“ წევრი გახდა.

ამ ხნის მანძილზე გოლკიპერმა მოედანზე 53 677 წუთი გაატარა და 602 გოლი გაუტანა. კარგა ხნის განმავლობაში მისი მაჩვენებელი მეტად საამაყო გახლდათ, საშუალოდ, მატჩში გოლზე ნაკლები, მაგრამ „ვალენსიელთა“ უნიათო დაცვამ, ბოლო დროს, სტატისტიკური მონაცემი გაუუარესა. ახალ სეზონში, 12 შეხვედრაში გუნდს, ანუ ანდონი სუბისარეტას 17 გოლი აქვს გაშვებული.

— როგორღმსმენება და გმობა თავი აზრადაც არ მომსვლია, სანამ ვიღაცამ სტატისტიკაზე არ ჩამომიდგო სიტყვა — აღიარებს სუბისარეტა, რომელმაც „პარსიკონაში“ თამაშს განმავლობაში ექვსჯერ მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონის ტიტული, სამჯერ თასი, იყო ევროპის ჩემპიონთა და თასების თასის მფლობელი. ერთადერთი, რაც მეკარეს აქვია, ნაკრების შემადგენლობაში მოგებული ვიდეოლეზა. ადრე თუ გვიან, სუბისარეტა ფეხბურთელის კარიერას დასრულებს, მაგრამ მისი შედეგის გაზომვას დიდხანს ვერაინ შეძლებს. სუბი მეექვსეაზე ითამაშა. მასთან ყველაზე ახლოს „რეალის“ მეკარე პაკო იყო 542 თამაშით, მაგრამ მან გასულ ზაფხულზე ფეხბურთელობას თავი დაანება. მეტი, 500 მატჩიანი ბარიერი არავის გადაულახავს. ზემოხსენებულ ორ გოლკიპერის შემდეგ „რეალის“ მცველი მანუელ სანჩესი მოდის. მას 449 შეხვედრაში აქვს მონაწილეობა მიღებული.

სუბისარეტა ნაკრებშიც რეკორდსმენია, 120-ჯერ აქვს ნათამაშე და მოახლოებული მსოფლიოს ჩემპიონატს დიდი იმედით ელოდება. მისი 121-ე შეხვედრა ალბათ ხვალ, პალმა დე მალიორკაში, რუმინელების წინააღმდეგ შედგება. ყოველ შემთხვევაში ამ ამხანაგური შეხვედრის ჩასატარებლად ეროვნული გუნდის თავაკის ნაკრები კლემენტეს იგი გამოძახებულს ჰყავს. კლემენტეს გარდა გამოცდილი მეომრებისა, ახალი ფეხბურთელებიც ჰყავს გამოძახებული. ისინი ორნი არიან, თავდაშემხმელები. ერთი მათგანია ბილბაიელი ხოსეპე ერბერია, მეორე კი მადრიდის „ატლეტიკოს“ მოთამაშე ხორდი ლარდინი. აღსანიშნავია, რომ, თუკი სისი მიხედვით ვიმსჯელებთ, კლემენტესს ახლა გაცილებით შემტევი შემადგენლობა ჰყავს მიწვევით, ვიდრე შესარჩევი ტურნირის დროს, ოფიციალურ მატჩებში იწვევდა. კლემენტესს გამოძახებულითა სრული შემადგენლობა ასეთია: მეკარეები — ანდონი სუბისარეტა (ვალენსია), სანტიაგო კანიზარესი (რეალი); მცველები — აბელარდო (მარსელონა), კარლოს ავილერა (ატლეტიკო), რაფელ ალკორტა (ატლეტიკო), სერხი (მარსელონა), ალბერტ ფერერი (მარსელონა), ფერნანდო იერი (რეალი), რობერტო რაიხი (ატლეტიკო); ნახევარმცველები — გილერმო ამორი (მარსელონა), ლუის ერნაეკე (მარსელონა), მიგელ ანხელ ნალაო (მარსელონა); თავდაშემხმელები — ალფონსო პერესი (ბეტისი), ხოსეპე ერბერია (ატლეტიკო), რაული (რეალი), კიკო (ატლეტიკო), ჯოინი ლარდინი (ატლეტიკო), ოლივიერო ალვარესი (ბეტისი), ხუან პიცი (მარსელონა).

რაც შეეხება ქვეყნის ჩემპიონის, მადრიდის „რეალს“, მას კვლავ ახალი ფეხბურთელების ყოფა აქვს განაღებული. აშკარად „სამეფო გუნდს“ 23 წლის ბრაზილიელი საეიო ბარტოლომი ჰყავს მიზანში ამოღებული. მას, „ფლამენგოს“ ზე რობერტოში უცვლიან. გარდა ამისა, მადრიდის „რეალი“ ფლობს როდრიგოს, ფეხბურთელს, რომელიც თუმცა „რეალისაა“, „პორტუგეზაში“ გამოიღის. ბარტოლომის სანაცვლოდ მადრიდელმა „ფლამენგოს“ პრეზიდენტის კლუბერ ლეიტეს განცხადებით, ბარტოლომი 99,9 პროცენტით, დეკემბერში „რეალში“ ითამაშებს.

— ბელნიერი ვარ, რომ „რეალში“ ვითამაშებ — თქვა ოლიმპიურმა ვიცე-ჩემპიონმა — ეს გარიგება ჩემთვისაც კარგია და „ფლამენგოსთვისაც“.

აღსანიშნავია, რომ ბარტოლომის ბრაზილიის ნაკრებშიც აქვს ნათამაშე. თან იგი ბრაზილიურს გარდა იტალიურ პასპორტსაც ფლობს და ამიტომ, როგორც ევროკავშირელი, ესპანეთში უცხოელად არ ჩაითვლება.

სარბიელი





# ნრა შაიკრა

საქართველოს მე-7 ჩემპიონატი დამთავრდა პირველი წრე ყველა გუნდი შეხვდა ერთმანეთს და უკვე შეგვიძლია ვიმსჯელოთ ძალთა დღევანდელი თანფარდობაზე. საბოლოოდ რა თქმა უნდა ყველაფერი მაშინ გადაწყდება, როცა ორი წრის შემდეგ ჩემპიონატის რვა საუკეთესო გუნდი ფლეი-ოფში განაგრძობს ბრძოლას ჩემპიონობისთვის. პირველ წრეში გამოვლენილ უძლიერეს ხუთეულს რვა საუკეთესო მოხვედრა არ გაუჭირდება. თუმცა, ჩვენს საკალათბურთო სეზონში ისედაც ცოტა მატჩები და კიდევ უფრო ცოტა მძაფრი შეხვედრები, ამიტომ ძალიან წარმოსადგენია, რომ რომელიმე ძლიერმა გუნდმა თავისი დონის მეტოქესთან თავი დაზოგოს იმ იმედით, რვა საუკეთესოში მაინც მოხვდები.

ჩემპიონატის ლიდერობს რუსთავეის „აზოტი“, რომელმაც ყველას აჯობა. მართალია, მას მეტოქეებთან ისეთი უპირატესობა არ ჰქონია, როგორცაა შარშან „ვიტაში“ მიგვაჩვენა, მაგრამ მათი პირველობა ძალზე დამაჯერებელია. რუსთაველებს, ფაქტობრივად, ერთ თამაშში ჰქონდათ სათაოდ საქმე — თსუ-სთან, რომელიც დამატებით დროში მოიგეს. დანარჩენი შეხვედრების ბედი მატჩის ბოლო წუთებამდე წყდებოდა რუსთაველთა სასარგებლოდ. „აზოტს“ გამოკვეთილი ლიდერობა ჰყავს — რამაზ გოგობერიშვილი და ირაკლი ჯაფარიძე, რომელთაც კიდევ უფრო მოუმატეს პირველ ტურთან შედარებით და ლიდერებისთვის დამახასიათებელ სიღრმეს მიაღწიეს — უფრო ნაკლებად ნერვიულობენ წვირლივანებზე, საკუთარი თავის რწმენა განუმტკიცდა, დაჯერებულნი გახდნენ, რაც გუნდის სხვა წევრებზე კარგად მოქმედებს. ჩინებულად ათა მამუნენი ყმაწვილები — ბოისა და წიკლაური, რომელთაც ძალუძთ მატჩის გარკვეულ მომენტებზე თვითონ იკისრონ ლიდერობა. ამის საშუალებას გამოცდილი კალათბურთელებიც აძლევენ. ღიდი ძალა ბერუაშვილიც. შეამოსონა და კიკეძე შარშანდელთან შედარებით უფრო ნაკლებად ისერიან შორიდან, მაგრამ მეტი

სარგებლობა მოაქვთ. ასე რომ, ოთარ ხმელიძის გუნდი წლებანდელი ჩემპიონატის უპირველესი ფავორიტია. მით უმეტეს, რომ რუსთაველებს კარგი რეზერვიც ჰყავთ.

მეორე მისთვის უჩვეულო ადგილზეა საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი „ვიტა“. როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, ვითლები ახალი, ძლიერი გუნდის შექმნას უფროან საფუძველს და ამ გზაზე რა თქმა უნდა, იქნება ბარიერები, რომელთა გადალახვასაც შეეცდება „ვიტას“ ახალი მწვრთნელი ზურაბ ტომარაძე. ჩემპიონმა ასეთ სიტუაციაშიც მოახერხა მეორე პრიზის შენარჩუნება და როცა გუნდს შეუერთდებიან კოკოლიშვილი და მაკარაძე, გუნდის პოტენციალი, ალბათ, უფრო გაიზარდება. გარდა ამისა, ტრავმის შემდეგ ჩვეულ ფორმაში არაა დაბრუნდები. გამოცდილი კალათბურთელებთან თავისი ადგილი უნდა გაიმყაროს ახალგაზრდა ლოსაბერიძემ და ყველა ამ რეზერვის ამოქმედება ხელს შეუწყობს წლებანდელ სეზონშივე „ვიტას“ ჩვეულ ფორმაში ჩადგომას.

ჩემპიონატი ძალზე გაალამაზა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა. თსუ-მ შესანიშნავად ითამაშა ფაქტობრივად და რომ არა ბოლო ტურში „შეგარდენთან“ მარცხი, ჩემპიონთან ერთად გაიყოფოდა მეორე ადგილი. უნივერსიტეტელები წელს, ალბათ, მედლებსთვის იბრძობებენ. თუმცა, სასტარტო ხუთეულს სრულფასოვანი რეზერვი სჭირდება.

ნელ-ნელა იღვრება სათამაშო კონდიციებს დინამიკულებიც. „დინამომ“ ჩინებულად ჩაატარა პრინციპული მატჩი „ვიტასთან“ და დამაჯერებლად გაიმარჯვა. ამ მატჩმა დაადასტურა, რომ თუ გუნდის ლიდერები — ბუკინაშვილი და ხოშტარია ფორმაში არიან, გუნდს ბევრი შეუძლია, მთ უმეტეს, თუ ამ დროს მაისურამდეც აჩვენა ისეთი თამაში, როგორც ბოლო მატჩებში.

სრასუ-ში გამოცდილი კალათბურთელებმა მოიყარეს თავი და ეს გუნდი ნებისმიერი მეტოქისთვის ძნელად გა-

დასალაზია. დეროვიცის, სანაძეს და ჩერქიშვილის იმდენი ოსტატობა და გამოცდილება აქვთ, რომ მათი გამკლავება ყველასგან დიდ ძალის მოთხოვს. გუნდი ატოვებს რეზო ჩხეიძემ, რომელიც ისრავლში წაივდა სათამაშოდ. სამაგიეროდ, მოვიდა მამუკა ტურაშვილი. მან სრასუ-ს შესაძლებლობა კიდევ უფრო გაზარდა. ნელ-ნელა ეგუება გუნდს გიორგი ჩხეიძეც, რომელიც ისე შედეგაიანდა ვერ ითამაშოს, როგორც „შეგარდენში“, მაგრამ ძალზე სასარგებლოდ მოქმედებს დაცვაში და შეტევის ორგანიზებისას. მეორე ტურში მოუმატა ითიურძემაც.

ეს ხუთი გუნდი მედლებისთვის იბრძობებს და ისინი რვა საუკეთესოში ძალუძს დაუძაბავად უნდა მოხვდნენ.

სამაგიეროდ, დიდ ბრძოლა იქნება დანარჩენი სამი ადგილისთვის. ამ დავაში ჯერჯერობით ყველას არმეობა აჯობებს. ასკ-მ მხოლოდ „ღიდი ხუთეულთან“ წააგო და მეორე წრისთვის კარგი მარაგი შეიქმნა რვა საუკეთესოში მოსახვედრად. არმეობის შემადგენლობა თანაბარად აღივანა. ჰყავთ ლიდერიც — მინაშვილი, მაგრამ საჭიროებენ ტანმალა მოთამაშეებს, ვინც ლიდერს ფარგულში ბრძოლაში დაეხმარება, ამიტომ ისინი ისეთ კალათბურთს თამაშობენ, როგორც დღევანდელით შეუძლიათ და თავის ამოცანას წარმატებით ასრულებენ.

პირველი წრის მეორე ტური კარგად ჩაატარა „მაკაბიმაც“, რომელიც, ფაქტობრივად, ექვსი კალათბურთელით ასპარეზობს. მაკაბელებმა დაამარცხეს უშუალო კონკურენტები, კარგად ეთამაშნენ ჩემპიონსაც და ცხრილის შუაგულშიც დაიმკვიდრეს ადგილი.

პირველი ტურის შემდეგ უფრო მეტს ველოდით სტუ-სგან, მაგრამ სტუდენტებმა ვერ შეინარჩუნეს ტემპი და დამარცხდნენ უშუალო მეტოქეებთან. სტუ-ს კარგი შემადგენლობა ჰყავს. ალბათ, გამოცდილებასაც შეიძენენ და უკეთესად ათამაშებენ.

„შეგარდენმა“ მეორე ტური ცუდად დაიწყო. საგრძობლად უკლებს ლიდერებმა — მაკაბელებმა და კახანავამ და გუნდიც ნელ-ნელა დაეშვა, მაგრამ შეგარდენელებმა ძალა მოიკრიფეს, „მაკაბისთან“ დამატებით დროში წაუგებინა შემდეგ ორი მატჩი მოიგეს, მათ შორის

ერთ-ერთ ლიდერ თსუ-სთან, და გადაურჩნენ აუტსაიდერთა — ბოლო ოთხი გუნდის — ჯგუფში მოხვედრას.

ამ ოთხიდან ყველაზე ძალიან აღინაშნა „ა“. ამ გუნდს თავისი ლოკალური ამოცანები აქვს და მას მიმართ მოთხოვნებიც შესაბამისია. ყმაწვილი დინამიკელები ყოველ მატჩში თავდაუზოგავად იბრძვიან და ამიტომ მათი თამაშები განსაკუთრებით ცოცხალი და საინტერესოა, თუმცა, დროა, ნელ-ნელა შეეჩვიონ თავბრუსდამხვევ ტემპში უფრო გონივრული გადაწყვეტილებების მიღებას, ელემენტალური შეცდომებიც ნაკლებად დაუშვან. თუ მათ ასაკს გაითვალისწინებთ, ასეთი დროც დაადგება.

ცხრილის ბოლოში დარჩენილი სამი გუნდიდან ყველაზე ძლიერ გულდასაწყვეტი „კოლხას“ შედეგია. სოხუმელებს ნიჭიერი გუნდი ჰყავთ. ისინი ბევრ თამაშში თანაბრად ებრძვიან მეტოქეს და მატჩის ბოლოს მარცხდებიან. ალბათ, გადაწყვეტ მომენტებში უფრო მეტი მობილუზება საჭირო, რადგან „კოლხას“ შემადგენლობისთვის 1 გამარჯვება 12 მატჩში ნამდვილად ცოტაა.

ქუთაისის „რიონმა“ მეორე ტურში მოუმატა და დამატებით მატჩიც მოუგო „კოლხასს“. ამან ნორჩ ქუთაისელებს რწმენა შეჰმატა და ისინი უკვე აღარ ჩანან ისეთი დათრგუნულნი, როგორც პირველ ტურში.

„მერანის“ ნორჩებმაც უმატეს თამაშს. თუმცა, ჯერჯერობით ერთი თამაშე ვერ მოიგეს.

### კოტა მგალობლიშვილი

15 ნოემბერი

#### შეგარდენი 83:70 მერანი

შეგარდენი: გაგნიძე (5), ორჯონიკიძე (5), კახანავანი (23), ვსიტაშვილი (5), ლვინვაძე (13), ისაყაძე (6), ორჯონიკიძე (5), ჩარაგიშვილი (7), ჩალი, სურმაგა (8), ცაგარეიშვილი (11) მერანი: მარხვაშვილი (5), მჭედლიშვილი (11), ჩაჩუა (6), ჩავლიშვილი (16), ლვინაშვილი (12); ღარიბაშვილი (3), გოცაძე (6), სანიკიძე (4), მთვარაძე (5)

#### თსუ 97:80 დინამო 2

თსუ: ფენტი (2), ნონელია (20), ცხვიდიანი (19), ბაბიაშვილი (18), ნიფარაძე (6); გალაშვილი (4), არსიაშვილი

### NBA. რეგულარული ჩემპიონატი

საკრამენტო: რიჩმონდი (18 + 10 პასი)

**ვაშინგტონი 91:102 ორლანდო**  
ვაშინგტონი: სტივონსონი (24 + 9 პასი), მიურეი (23)  
ორლანდო: აუთლო (24 + 14 მოხსნა), ჯოკინსი (23)

**შარლოტი 130:96 კლიპერსი**  
შარლოტი: რაისი (36), კარი (18)  
კლიპერსი: როჯერსი (24)

**ტორონტო 77:105 ინდიანა**  
ტორონტო: უოლისი (17), სტუდემიერი (10 + 14 პასი)  
ინდიანა: მულენი (20), ჯექსონი (6 + 10 მოხსნა + 11 პასი)

16 ნოემბერი

**ლიუკანო 121:95 ვანკუვერი**  
ლიუკანო: ჯონსი (28), ვან ექსელი (24 + 8 პასი)  
ვანკუვერი: აბდურ-რაჰიმი (25)  
ნიკ ვან ექსელმა 6-დან 6 სამქულიანი ჩააგდო.

**ატლანტა 89:83 კლიპერსი**  
ატლანტა: მუტომბო (19 + 13 მოხსნა), სმიტი (19)

**სიეტლი 119:99 მილუოკი**  
სიეტლი: ბიკერი (20), შრემბო (19)  
მილუოკი: ალენი (21), რობინსონი (18)

**ფინიქსი 96:94 პორტლენდი**  
ფინიქსი: ჯონსონი (30 + 10 მოხსნა + 6 პასი), კიდი (21)  
პორტლენდი: ოლაჯუონი (22 + 12 + 5 დაფარება)  
როგორც იქნა, ზვირიანდ გაისარჯა ჰაკიმ ოლაჯუონი, მაგრამ მისი ჰიუსტონი მაინც დამარცხდა.

**კლივლენდი 72:77 ნიუ ჯერსი**  
კლივლენდი: კემპი (14 + 11 მოხსნა), პერსონი (14)  
ნიუ ჯერსი: დუგლასი (25), ქაითლზი (23)

**ინარკლი ფინიქსი**  
ალმონსაკლემის კონფერენცია  
ატლანტის დივიზიონი

მაიაი	6	3	66,7
ნიუ იორკი	6	3	66,7
ნიუ ჯერსი	4	3	57,1
ორლანდო	5	4	55,6
ბოსტონი	4	5	44,4
ვაშინგტონი	4	5	44,4
ფილადელფია	2	6	25,0

ლი (15), კიკაბიძე (2), ნიკოლაძე (7), მარკოშვილი (4)  
დინამო 2: გრძელიშვილი, ვეფხვაძე (13), ურუმბეგაშვილი (12), ვსიტაშვილი (8), მანველაშვილი (48), მშვილდაძე (7), ხეცურანი (12), მცირეშვილი (4), სიხარულაძე (6)

სპ 92:88 კოლხა

სპ: დ. მოისნრაფიშვილი (22), თაბუაშვილი (22), ჭყონია (4), ჩხაიძე (15), მინაშვილი (17), აკულაშვილი (2), პაპასკირი (10), ჭყონია (4), ა. მოისნრაფიშვილი

კოლხა: აბულაძე (14), კვაჭაძე (15), ქარშიძე (6), კვიციანი, ვაშაკიძე (5); ბერიშვილი (13), ურუმბეგაძე (20), ცხვიდიანი (15)

16 ნოემბერი

#### შეგარდენი 72:71 თსუ

შეგარდენი: გაგნიძე (10), ორჯონიკიძე (20), კახანავანი (9), მაჭავარიანი (21), ლვინვაძე (12); ვსიტაშვილი  
თსუ: ნიკოლაძე (7), კიკაბიძე (4), მარკოშვილი (5), ნონელია (4), ნიფარაძე (13); ვსიტაშვილი, ფენტი (11), ცხვიდიანი (13), ბაბიაშვილი (14)

სპ 89:76 სტუ

სპ: დ. მოისნრაფიშვილი (20), ჩხაიძე (6), ჭყონია (12), თაბუაშვილი (12), მინაშვილი (25); აკულაშვილი (7), პაპასკირი (7), ა. მოისნრაფიშვილი

სტუ: დ. ბერიშვილი (15), ი. ბერიშვილი (16), ნოზაძე (29), გიგაშვილი, ხარაძე (4); სპარსიაშვილი (9), ლომიძე, ბათბაძე, სუხიშვილი (3), ლასარეიშვილი

#### პირველი წრის შედეგები

1. ბოტი	12	10	1265:955	24
2. ვიტა	12	10	1158:982	22
3. თსუ	12	9	1133:1005	21
4. სტასუ	12	9	1200:930	21
5. დინამო	12	9	1259:991	21
6. ასკ	12	7	510:811	19
7. მაკაბი	12	6	995:1963	18
8. სტუ	12	5	1032:1062	17
9. შეგარდენი	12	5	7105:6107	17
10. დინამო 2	12	3	988:1088	15
11. რიონი	12	2	1084:1132	14
12. კოლხა	12	1	982:1113	13
13. მერანი	12	0	1275:1231	12

## ის მართლაც ომი იყო

14 ნოემბერი

**ინდიანა 82:78 მაიაი**  
ინდიანა: მილერი (21)  
მაიაი: ბრაუნი (21 + 10 მოხსნა + 5 დაფარება)

**პოსტონი 103:99 ტორონტო**  
პოსტონი: უოლკერი (22 + 18 მოხსნა), ბილასი (22)  
ტორონტო: უილიამსი (25 + 12 მოხსნა)

**ატლანტა 104:103 სპარსიაშვილი**  
ატლანტა: ლიტნერი (18 + 12 მოხსნა), ჰენდერსონი (17)  
სპარსიაშვილი: რიჩმონდი (23), აბდულ რაჟი (20)

**ორლანდო 103:85 დენვერი**  
ორლანდო: გრანტი (21), აუთლო (18 + 11 მოხსნა)  
დენვერი: ნიუმენი (23)  
ფლორიდაელებმა პენი ჰარდუეის გარეშე იოლად მოიგეს.

**ჩიკაგო 105:92 შარლოტი**  
ჩიკაგო: ჯორდანი (28), კუკოლი (18), როდმანი (14 მოხსნა)  
შარლოტი: გეიგერი, ფილზი (14-14)

**პორტლენდი 103:113 ლიუკანო**  
2 ოვერტაიმი  
ჩემპიონობის ორი მაძიებლის ეს მატჩი ძლიერ წააგავდა შარშანდელი სეზონის დასაწყისში გამართულს. მაშინაც და ახლაც ორი ოვერტაიმის გამართვა განხორციელდა. მაშინაც და ახლაც მატჩის გმირი პატარა ნიკ ვან ექსელი (35 ქულა) გახლდათ, განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ გიგანტთა ომი არ შედგა. ახალგაზრდა შაკილმა (24 ქულა, 13 მოხსნა, 8 პასი) ბებერ ჰაკიმს (4 ქულა) მთელ თამაშში ხელი არ გაატოკებინა. თამაში ლიუკანოს უპირატესობით წარიმართა და პირველი ნახევარიც მისი იყო 53:38. მეორე პოუსტონმა დრეკსლერისა (35 ქულა, 10 მოხსნა, 7 პასი) და ბარკლის (15 ქულა, 22 მოხსნა) მეცადინეობით საქმე გამოისწორა და თამაშის ბოლოს

წინაც გავიდა, მაგრამ ძირითადი დროის დამთავრებამდე 6,9 წამით ადრე პატარა ნიკს სამქულიანმა ანგარიშში გაათანაბრა და გუნდები ოვერტაიმისთვის განაწყო. პირველ ოვერტაიმში პოსტონი აღმოჩნდა მდევრის როლში. 1 წუთით ადრე, როცა ლიუკანოს 101:96 იგებდა, ჯერ მაროი ელიმ ჩაავლო სამქულიანი, შემდეგ კი, 2,3 წამით ადრე სერ ჩარლზმა იყოჩაღა 101:101. მეორე ოვერტაიმში კი ლიუკანოს უპირატესობა აშკარა იყო 12:2.

**იუტა 101:104 სიეტლი**  
იუტა: მელონი (23 + 12 მოხსნა), პორნაშვილი (23)  
სიეტლი: შრემბო (26), პეტონი (21)

**პორტლენდი 139:140 ფინიქსი**  
4 ოვერტაიმი  
პორტლენდი: რაიფერი (35 + 11 მოხსნა), გრანტი (34 + 17 მოხსნა), საბონისი (31 + 10 მოხსნა + 7 პასი)  
ფინიქსი: მენინგი (35 + 10 მოხსნა), ჩემპენი (28), ჯონსონი (16 + 13 მოხსნა + 7 პასი), კიდი (6 + 16 პასი)

ეს მართლაც ომი იყო, ომი პორტლენდის „როუზ გარდენში“. 4 ოვერტაიმში NBA-ს ისტორიას სულ 7-ჯერ ახსოვს. უარესებიც ყოფილა — ორი 5 ოვერტაიმანი და ერთიც ექვსინა, მაგრამ არა 90-იანებში. ბრძოლა თავიდანვე დამაბული და თანაბარი იყო. მეორე მეოთხედის დამთავრებამდე სტუ ნიკსი ზუსტმა სროლამ ანგარიში 98:95 გახადა, მაგრამ საბონისმა 2,7 წამით ადრე

გოლდენ სტივონსონი (26 + 10 მოხსნა), სპრიუელი (25)  
პორტლენდი: რაიფერი (19), საბონისი (14 + 12 მოხსნა)  
**ვანკუვერი 109:94 მილუოკი**  
ვანკუვერი: აბდურ-რაჰიმი (24)  
მილუოკი: ბრენდონი (22 + 13 პასი), ალენი (20)  
**სან ანტონიო 94:105 მინესოტა**  
სან ანტონიო: რობინსონი (29 + 18 მოხსნა), დანვანი (15 + 17 მოხსნა)  
მინესოტა: გარნეტი (26), გულიოტა (23 + 12 მოხსნა)


**ჩიკაგო 79:70 კლივლენდი**  
ჩიკაგო: ჯორდანი (27), როდმანი (18 მოხსნა)  
კლივლენდი: ანდერსონი (12)

**დალასი 77:85 იუტა**  
დალასი: ფინლი (21), ბრედლი (11 + 14 მოხსნა)  
იუტა: მელონი (26 + 10 მოხსნა)

**დეტროიტი 96:88 ნიუ ჯერსი**  
დეტროიტი: პანტერი (35), სელი (22), უილიამსი (21 + 12 მოხსნა)  
ნიუ ჯერსი: კასელი (29), გილი (19), უილიამსი (13 + 19 მოხსნა)

**ფილადელფია 101:107 ბოსტონი**  
ფილადელფია: სტეკაუზი (23), კოულზენი (16 + 18 მოხსნა + 7 პასი)  
ბოსტონი: უოლკერი (25 + 13 მოხსნა)

**მაიაი 96:93 დენვერი**  
მაიაი: პარდვეი (26 + 11 მოხსნა + 8 პასი), ოსტინი (17 + 13 მოხსნა)  
დენვერი: ელისი (20), ჯექსონი (19)  
**ნიუ იორკი 114:87 სპარსიაშვილი**  
ნიუ იორკი: იუინგი (17), ოუკლი (11 + 10 მოხსნა)



სიეტლი — იუტა. გარი პეტონმა ახალგაზრდა იუტელ ქუ ვინს ბურთი მოპარა



# საუკუნე სამპრასით დასრულდა

პანოვერი. ATP-ის მსოფლიოს ჩემპიონატი.  
ტარდება დარბაზში პარდზე.  
საპრიზო ფონდი 3,6 მილიონი დოლარი.



პიტ სამპრასი მსოფლიოს ჩემპიონია

ზოგ ჩოგბურთელს მატჩში ათობით ვისის მოწოდება შეუძლია, ზოგი მიღებაზე ირჯება სხვაზე უკეთ, ზოგი ბაღსთან და ზოგიც უკანა ხაზიდან ისვრის ტყვიასავით ფორპენდ-ბექჰენდებს, მაგრამ, ამით სამწუხაროდ, არის კიდევ პიტ სამპრასი, რომელსაც ყველაფერი ზემოხაზოვლილი თანაბრად ეხერხება. კვირას გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში, რომელშიც მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა მორიგი მეტოქე — რუსი კაფელნიკოვი გაანადგურა, კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ამჟამად ამერიკელს ღირსეული მეტოქეც კი არ ჰყავს.

მატჩის დასაწყისი კატასტროფულს არაფერს მოასწავებდა. კაფელნიკოვი პირველივე გეიმში მეტოქის ორი ორმაგი შეცდომით ისარგებლა და დაწინაურდა, მაგრამ ვალის დაბრუნება არც სამპრასმა დაავიანა და ანგარიში მაშინვე გაათანაბრა, მერე კი ორი ბრეიკ-პოინტი გადარჩინა და 2:1 დაწინაურდა. ამერიკელმა თავისი უპირატესობა მორიგი ბრეიკით კიდევ უფრო გაზარდა, მაგრამ რუსის ბრწყინვალე მიღება, ერთიც თავზე გადავადებული და ანგარიში ჯერ შემცირდა, მერე გაათანაბრა — 3:3. პირველი ექვსი გეიმი მეტ-ნაკლებად დაწინაურებით იმითომ განვიხილეთ, რომ მატჩი, ფაქტობრივად, ამით მორჩა, მერე კი ერთი კაცის „მოუ“ დაიწყო — პიტ სამპრასი კორტზე იმას აკეთებდა, რაც მოესურვებოდა. ბევრი ჩოგბურთელი ამერიკელთან თამაშისას ლამის ერთადერთ მომენტთან ტაქტიკას ირჩევს — ცდილობს, იგი რამენაირად უკანა ხაზზე შეაფერხოს და ბექჰენდის მხარეზე მიმართული დარტყმებით შეცდომა დასტყუოს, რაც შესარჩევი ჯგუფის პირველ შეხვედრაში ასე წარმატებით გამოუვიდა ესპანელ კარლოს მოიას. მაგრამ ამჯერად სამპრასი სრულებით არ ჰკავდა იმ უხალისოდ მოთამაშე ჩოგბურთელს, მოიასთან შეხვედრაში 5:3 უნებლად შეცდომა რომ დაუშვა. ამერიკელმა მატჩის

დასაწყისში წაგებული ორი მოწოდების მერე კაფელნიკოვს ბრეიკ-პოინტიც კი აღარ აღირსა და პირველი გეიმის მერე ერთი ორმაგი შეცდომაც არ მოსვლია. თავის მხრივ მას სრულებით არ უჭირდა რუსის ვაცილებით სუსტ მოწოდებასთან გამკლავება და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, როლან გაროსის ყოფილი ჩემპიონი უკანა ხაზზე თამაშშიც დაჩაგრა. კაფელნიკოვს, როგორც წესი, ძალა და მოთმინება სამი-ოთხი რივიანი დარტყმისთვის ჰყოფნიდა, მერე კი ან თავად სცოდავდა, ან უღონოდ აყოლებდა თავის სამპრასის მორიგ სუფთად მოთვლილ ბურთს. პირველი სეტი, რომელიც 33 წუთს გრძელდებოდა, ამერიკელმა უძლიერესი ბექჰენდით დაავიგრგინა და მორე ხელის პირველივე გეიმში ორმაგი ბრეიკ-პოინტი გააზარდა, თუმცა, რუსმა უკანასკნელად გაიფართოვა — საკუთარი მოწოდება შეინარჩუნა მხოლოდ იმისთვის, რომ მერე ზედიზედ ხუთი გეიმი წაეგო. მორე და მესამე სეტებში ერთი-მორე ტყუისცალივით წაგავდნენ — სამპრასი თამაშობდა, კაფელნიკოვი კი ჩოგანს ბურთის ნაცვლად ან კორტს ურტყამდა, ან თავის შვე წულებს (ერთადერთს, რაშიც მეტოქეები ერთმანეთს ჰკავდნენ). პანოვერის „ლონი მეტოქე“ შეკრებილი ვოლტა თავიდან რუსის გამსწევებს ტამბა და შეძახილებით ცდილობდა, მაგრამ ამისგან რომ არაფერი გამოვიდა, 15-ათასიანი დარბაზი შეეგუა ცალკარა, მოსაწყენ თამაშს. „პირველი სეტის მერე კორტიდან წასვლა მიწოდდა, რადგან ვერძობდნენ, რომ ყველაფერი მხოლოდ უარესისკენ წავიდოდა. ყველაფერი ვცადე მდგომარეობის გამოსასწორებლად, მაგრამ არაფერი გამოვიდა. პიტ უბრალოდ მეტისმეტად ძლიერია“ — თქვა რუსმა მატჩის შემდეგ, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალის ისტორიაში ყველაზე ხანმოკლე გამოდგა — მხოლოდ 88 წუთს გასტანა. საბოლოო ანგარიში კი 6:3, 6:2, 6:2 დაფი-



კაფელნიკოვმა ბლომად ფული იშოვა

ქსირდა. კაფელნიკოვს ფინალში გასვლისთვის მიღებული 640 ათასი დოლარი და კლასიფიკაციაში წლის ბოლოსთვის მეექვსედან მეხუთე ადგილზე ანაცვლება დარჩება ნუგეზად რაც შეეხება სამპრასს, იგი ტურნირის შემდეგ მილიონ 340 ათასით გამოიდრდა, საერთო მონაგრით კი 30 მილიონ დოლარს გასცდა.

პირველი მოწოდების პროცენტი	54	51
ვისები	16	2
ორმაგი შეცდომები	2	4
ბრეიკები	7(12-დან)	2(4-დან)
სუფთად მოგებული ქულები	46	13
ბაღსთან მოგებული ბურთები	4	1
უნებლიე შეცდომები	22	22

მსოფლიოს ჩემპიონატის დღეებში ATP-ის 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით საუკუნის ბოლო მეოთხედის საუკეთესო კაცი ჩოგბურთელის გამოსავლენად ჩოგბურთელეებსა და ჟურნალისტებს შორის გამოკითხვა ჩატარდა, რომელშიც პირველობა, რაღა თქმა უნდა, პიტ სამპრასს დარჩა.

1. პიტ სამპრასი 779
2. ბიორნ ბორგი (შვედეთი) 754
3. ჯონ მაკინროი (აშშ) 721
4. ჯიმ კონორსი (აშშ) 634
5. ივან ლენდლი (ჩეხეთი) 493
6. ბორის ბეკერი (გერმანია) 446
7. სტეფან ედბერგი (შვედეთი) 372
8. როდ ლეიკერი (ავსტრალია) 360
9. მატს ვილანდერი (შვედეთი) 209
10. ილიე ნასტასე (რუმინეთი) 185

ლას ვეგასი. „ლუქსორის“ ჩელენჯერი.  
საპრიზო ფონდი 50 ათასი დოლარი

თუ პიტ სამპრასის ერთი მთავარი მეტოქე — გერმანელი ბორის ბეკერი უზრუნველ ცხოვრების გეგმებსა აწყობს, მორე — თავზოტორა ანდრე ავასი ჯერ კიდევ ფიქრობს საჩოგბურთო ელიტაში დაბრუნებაზე. სანამ მსოფლიოს პირველი ჩოგანი მსოფლიოს ჩემპიონატზე თავის მეტოქეებს მუსრს აელებდა, ჩასუქებული ანდრე კრევის მექაში კლასიფიკაციის მორე ასეულის წარმომადგენლებს ეჭიდებოდა 50 ათასი საპრიზო ფონდის მქონე ჩელენჯერზე. ავასი, რომელიც 1995 წელს 30 კვირის განმავლობაში მსოფლიოს პირველი ჩოგანი იყო, ახლა ოდენ 141-ეა და ამ ტურნირზეც კი მეხუთე იყო განთესილი. ნახევარფინალში ანდრემ სამხრეთაფრიკელი გრანტ სტაფორდი (I) დაამარცხა სამ ხელში — 6:2, 3:6, 6:1. ფინალი, რომელიც კვირას გამართა, ავასის მორიგი კრახით დასრულდა. კლასიფიკაციაში 202-ემ გერმანელმა კრისტინ ვინკმა სახელოვან მეტოქეს ორ ხელში მოუგო 6:2, 7:5 და ჯილდოდ 7200 დოლარი დაიმსახურა. ანდრემ დაამარცხა არად ჩაავდო, თამაშში სწრაფ პროგრესს მაინც არ ველოდო, და ისაც განაცხადა, რომ 24-30 ნოემბერს კიდევ ერთ ჩელენჯერში მიიღებს მონაწილეობას, ამჯერად კალიფორნიის ბარბანკში-ლმერთა ხელი მოუძაროს.

რაც შეეხება ტიმ ჰენმანს, რომელმაც პარასკევს პანოვერის მსოფლიოს ჩემპიონატზე ეგვიპტი კაფელნიკოვს სძლია, მან არც ეროვნულ პირველობაზე შეირცხვინა თავი და გერმანიიდან დაბრუნებულმა ჯერ ნახევარფინალში იმარჯვა, მერე კი ფინალში კრის უილკინსონი დაამარცხა 6:4,

6:1. ჰენმანმა კაფელნიკოვის ძლიერების 100 ათასი დოლარი მიიღო, ენკლესის ჩემპიონატისთვის კი 15 ათასით დაკამათდა.

ვილანოვა. აშშ. „ადვანტიჯ“ პირველობა.  
ტარდება დარბაზში ხალიჩაზე.  
საპრიზო ფონდი 450 ათასი დოლარი

მეოთხედფინალი: არანა სანჩეს-ვიკარიო (8, ესპანეთი) — ამანდა კულტერი (3, სამხრეთ აფრიკა) 6:2, 6:2; ლინდსი დევენპორტი (5, აშშ) — იანა ნოვოტნა (2, ჩეხეთი); ირინა სპირლევა (7, რუმინეთი) — მონიკა სელეში (4, აშშ) 6:4, 7:6 (7:5); მარტინა პინგისი (1, შვედეთი) — ანვე პუბერი (გერმანია) 7:6 (10:8), 5:7, 6:4.

მონროსა ლინდსი დევენპორტმა თავისი მეწველი იანა ნოვოტნა უკვე მეხუთე პირად შეხვედრაში დაჩაგრა, აი, მორე ამერიკელი — მონიკა სელეში კი, თუ ასე ვაგრძელებდა, ალბათ ანდრე ავასის ხელს გააზარდებდა და „მორე ლივის“ კორტებს დაამშვენებდა უახლოეს მომავალში.

ნახევარფინალი: მარტინა პინგისი — არანა სანჩეს-ვიკარიო 1:6, 7:6 (7:5), 6:3; ლინდსი დევენპორტი — ირინა სპირლევა 6:2, 6:4.

ესპანელი არანა ქალთა ჩოგბურთის ტირანს — მარტინა პინგისს მორე სეტში 4:1-ს უგებდა, მაგრამ გამარჯვების თავად შეეშინდა და ინიციატივა მეტოქეს გადაულოცა. ლინდსი დევენპორტს მორე ხელში მექი დაეჭვებდა და ექიმის დახმარება დასჭირდა, რის შემდეგაც ზედიზედ 3 გეიმი მოიგო და ფინალში გავიდა. ამერიკელმა ამით კლასიფიკაციაში მორე ადგილზე გადაინაცვლა.

ფინალი: პინგისი — დევენპორტი 7:5, 6:7 (7:9), 7:6 (7:4).

მატჩი მსოფლიოს აწ უკვე პირველ-მორე ჩოგანებს შორის არამეორეხარისხი დაძაბული გამოდგა. დევენპორტი მუდმივად წინ იყო, მაგრამ გადამწყვეტი დარტყმის ზუსტად შესრულებას ვერაფრით ახერხებდა. მარტინამ ლინდსი ამერიკელს ძალაში თუ არა, ჭკუაში მაინც ავლო და უკანასკნელი ქულა კორტის სიღრმეში შესანიშნავი შემოვლებულით მიითვალა. 17 წლის პინგისს, წლის დასაწყისში ყველა დამარცხებული რომ ჰყავდა, ტურნირზე ყველა თამაშს სამ სეტამდე გაუგრძელდა.

ამთავარი სპონსორი



მარტინა პინგისმა დარდი არ იცის

# სარბიელი

## სკორტული ლატარია "CROCO"

შვეიცარიის ჩემპიონატი. XIX ტური			
19 ნოემბერი			
სენტ ვალენი — ბაზელი	1,35	3,3	6,5
ქსამაქსი — ლოზანა	2,4	3,0	2,2
გრასპოპერი — კარუეი	1,05	6,0	14,0
0:1	1,1	4,2	6,0
ლუცერნი — არაუ	1,8	2,9	3,4
სერვეტი — კრინსი	1,2	4,2	8,0
სიონი — ციურიხი	1,5	3,0	5,3

ბელგიის ჩემპიონატი. XII ტური			
19 ნოემბერი			
ვესტერლო — შარლერუა	1,5	3,3	4,4
ბევერნი — სტანდარდი	2,0	2,9	2,9
პარელბეკი — მუსკრონი	1,3	3,6	6,5
ანტვერპენი — გენტი	2,8	2,8	2,1
სენტ ტრიუდენი — ეკერენი	2,5	2,9	2,2
ალსტი — გენტი	1,9	3,0	3,0
ბრიუგე — ლოკერენი	1,5	4,7	9,0
0:1	1,6	3,2	3,0
მოლენბეკი — ლიერსი	2,4	2,8	2,3
ლომელი — ანდერლესტი	1,8	2,8	3,6

საფრანგეთის ჩემპიონატი. XVII ტური			
20-21 ნოემბერი			
ბასტია — ლანსი	1,8	2,8	3,6
მონაკო — პსე	1,8	2,8	3,6
კანი — ლიონი	2,9	2,9	2,0
ოსერი — მონპელიე	1,5	3,0	5,3

მეტი — ტულუზი	1,3	3,6	6,5
ლე ავი — ვინგამი	1,8	2,9	3,4
სტრასბური — მარსელი	2,5	2,9	2,2
შატოუ — ბორდო	2,8	2,8	2,1
რენი — ნანტი	2,0	2,8	3,0

გერმანიის ჩემპიონატი. 8-ე რაუნდის 18 ნოემბერი			
კარლსრუე — ბოხუმი	1,45	3,2	5,3
დუსელდორფი — შამპურგი	1,7	3,0	3,8
დორტმუნდი — ვოლფსბურგი	1,2	4,2	8,0
0:1	1,7	3,2	2,7
ვერდერი — შალკე	2,1	2,9	2,7

19 ნოემბერი			
შტუტგარტი — ჰანზა	1,3	3,4	7,0
0:1	1,8	3,2	2,4
არმინია — პერტა	1,7	3,0	3,8
მიუნხენ 1860 — კიოლნი	1,6	3,0	4,4
მიონხენგლადბახი — კაიზერსლაუტერნი	2,2	2,9	2,5

იტალიის თასი. მერვედფინალი. საპასუხო მატჩები			
18-20 ნოემბერი			
ლეჯე — იუვენტუსი	3,6	2,8	1,8
პესკარა — ფიორენტინა	3,6	2,8	1,8
რომა — უდინეზე	1,4	3,2	6,0
ნაპოლი — ლაციო	1,9	3,0	3,0
ინტერი — პიაჩენცა	1,5	4,7	9,0
სამპდორია — მილანი	1,8	2,9	3,4
ბოლონია — ატალანტა	1,7	2,9	4,0
ბარი — პარმა	2,4	2,6	2,4

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა. თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის“ ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე; ქუთაისში — ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში, პუშკინის ქუჩა 16; ფსონების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე.



# პარტი მსახურის დგომის

NHL რეგულარული ჩემპიონატი

## პოსტონი — ოტავა 3:3

შაბათი: ორეო 1 (0:1), ხრისტინი 6 (1:1), კრაფტვი 4 (1:2), პილი 4 (1:3), სამსონი 2 (2:3), დიმიო 4 (3:3)


ძირითადი დროის დამთავრებამდე 13 წამი რჩებოდა, როცა პოსტონელმა დიმიომ დონატოს ვრეცკისებური პასის შემდეგ ანგარიში გაათანაბრა და „დათვებს“ ქულა გადაურჩინა. მიუხედავად ამისა, გუნდის თავკაცი პეტ ბერნსი უკმაყოფილო იყო, რადგან 45 წუთის განმავლობაში ინიციატივა სტუმართა მხარეს იყო და ანგარიშიც ამაზე მეტყველებდა — 3:1. თამაშში გარდატეხა კი სამსონის ლამაზმა გოლმა შეიტანა. ისე მატჩის შედეგს ორივე გუნდი უნდა დაეკმაყოფილებინა, რადგან ჩინებულ სტარტის შემდეგ პოსტონი და ოტავა შეფერხდნენ და ეს მეტწილად უღებლობის ბრალი იყო. თავად განსაკუთრებული გოლებმა ბოლო 8 მატჩში 5 წაგებს და 2 ფრედ ითამაშეს.

14 ნოემბერი რეინჯერსი — პიტსბურგი 3:1, ნიუ ჯერსი — კოლორადო 4:1, ტამპა — აილენდერსი 1:4, ფლორიდა — ფილადელფია 2:5, ანაჰაიმი — ვანკუვერი 3:3.

15 ნოემბერი ბუფალო — ნიუ ჯერსი 2:3, მონრეალი — ვაშინგტონი 2:3, აილენდერსი — ფლორიდა 0:1, ტორონტო — პიტსბურგი 0:3, სენტ ლუისი — დეტროიტი 5:2, ედმონტონი — კალგარი 2:2, სან ხოსე — ფინიქსი 2:3, ლოს ანჯელესი — დალასი 1:5.

16 ნოემბერი რეინჯერსი — კოლორადო 4:1, ფილადელფია — ტამპა 3:2, ჩიკაგო — დეტროიტი 3:3, ვანკუვერი — ვაროლინი 4:1, ანაჰაიმი — დალასი 0:4.

პარასკევს ტამპა და ვანკუვერი ახალმა მწვრთნელებმა გაიყვანეს ყინულზე მოგვსენებათ, ეს ამ ორ კლუბში განხორციელებულ საკარო ცვლილებებს მოჰყვა. ცხადია, გუნდები უმაღლეს დონეზე იყვნენ, მაგრამ ის, რაც „რეინჯის მაიკის“ — კინენის ვანკუვერმა გამოაქვლია, უეჭველია, იმედს ჩაუსახავდა კანადელ გულშემატკივრებს. გასაოცარი იყო ლიდერთა მონღომება და ჟინი, რითაც აქამდე ისინი მხოლოდ ეპიზოდურად გამოიჩინოდნენ. მესიესა და ბურეს ცოტა ხნის წინ დაბრუნებულმა მოვილინებაც დაუმტყვნა მხარი და, როგორც იქნა, სუპერტრიო ათამაშდა. მართალია, მას შემდეგ, რაც სელიანემ თავისი მეორე გოლი (სულ — 20) გაიტანა და დროში უმცირესობაში დასაჯა სტუმრები, ვანკუვერს წაგების საფრთხე დაემუქრა, მაგრამ „საბოლოოდ“ ნუნენმა (5) იხსნა თავისიანები.



ჩიკაგოელთა მეკარე ჰეკეტის თავგანწირული ნახტომი

მატჩის მერე კინენი სიხარულს ვერ ფარავდა და ამბობდა, მეტად კმაყოფილი ვარ მოპოვებული ქულით. კაროლინისთან ვანკუვერმა უფრო უკეთ ითამაშა და ბოლო დროს ათამაშებულ მეტოქეს შანსი არ დაუტოვა. კვლავ გაიტანა ალექსანდრე მოვილინი — მაშინ, როცა ანგარიში ვერ კიდევ მინიმალური იყო, მან ზედზედ ორი შაბა შეავლო და სათბილეთი, 300-გოლიანი ზღვარსაც მიადგინა. მართალია, კაროლინას ორი წამყვანი ფორვარდი — პრიპო და რობერტი აკლდა, მაგრამ ისინი კი ვერაფერს დაკლებდნენ აშკარად მომძლავრებულ და ორგანიზებულ ვანკუვერს.

სულ სხვაგვარადაა საქმე ტამპაში. როგორც ჩანს, 53 წლის ყავ დემერის მიწვევამ მხოლოდ რუს სელივანოვზე იმოქმედა სახეიროდ — მან თავისი გუნდის ყველა გოლი გაიტანა. თავად ტამპა კი აღარინდელივით უნიათოდ თამაშობს და ამის დასტური ისაა, რომ „ელვებსმა“ თავიანთი ანტირეკორდი 15 მოუგებულ მატჩამდე გაზარდეს.

მართალია, ტამპამ ფილადელფიასთან იმარჯვა, მაგრამ ეს მატჩის დასაწყისში იყო, როდესაც სელივანოვმა 39 წამში ორი შაბა შეავლო. მერე კი ყველაფერი შეიცვალა: როგორც ყოველთვის, თანაკლუბელები პირინდობრა იხსნა, აბჯერად — დუბლით, თანაც მისი მეორე გოლი, რომელიც 59-ე წუთზე გავიდა, გადა-

წვევტი გამოდგა. ვერც აილენდერსთან მოახერხეს რამე „ელვებსმა“ და თავიანთი მწვრთნელსაც გაუფუქეს დებიუტი. ნიუ-იორკელებმა კვლავ ჩინებულად ითამაშეს რიცხვმრავლობაში — სამი შესაძლებელიდან ორი გამოიყენეს, მათმა ფორვარდმა, ჩორსკიმ კი სეზონში პირველი ორი გოლი გაიტანა.

რაც შეეხება ფილადელფიას, იგი მაინც მაქსიმალური შედეგით დაბრუნდა. საინტერესოა „მფინავები“, მიუხედავად იმისა, რომ მძლავრად თამაშობენ და თავიანთი კონფერენციაში ლიდერობენ, თავდასხმის გაძლიერების გზებს ეძებენ. უქმეებზე ჩატარებულ შეხვედრებში მწვრთნელებმა წამყვან სამეულში ლინდროსსა და ლეკლერს მაისინგერი ფორვარდი — კლუბი შეუამხანაგეს და ახალგაშობილებარმა ტრიომ ფლორიდაში ოთხი გოლი მოამზადა, კლუბმა (4) კი ორივე შეხვედრაში თითო-თითო შაბა გაიტანა.

რაც დრო გადის, არაყის გაბრუნება ევკი, რომ აღმოსავლეთის მთავარი ფაფორიტები წვლსაც ფილადელფია და ნიუ-ჯერსი იქნებიან. შარშანდელი სეზონის ლიდერები ნელ-ნელა უმატებენ ტემპს და თავიანთ დივიზიონებში დამაჯერებლად პირველობენ.

„ეშმაკები“ კი ისე თამაშობენ, მათი გულშემატკივრები უკეთესს ვერც ინატრებენ. მათ ვერც კოლორადო შეეძრძოლა და საუცხოო ფორმაში მყოფმა გოლკიპერმა ბროდომ ზედზედ 10 მოგებით კლუბის ახალი რეკორდი დაამყარა. მართალია, კოლორადოს ბოლო მატჩებში ლივის სხვა ენაღებთან მოუხდა პაექრობა და დაღლა ეტყობოდა, მაგრამ ეს ოდნავადაც არ ამცირებს ნიუ-ჯერსის გამარ-

ტა, დებიუტანტმა მორიზომმა კი უკვე მე-5 შეავლო.

ამასობაში დასავლეთში ლიდერი შეიცვალა. პრინციპულ ორთაბრძოლაში, რომელსაც სენტ-ლუისის მიულონდელმა ლიდერობამ მეტი სიმწვავე შემატა, „ბლუზმენებმა“ აჯობეს დეტროიტს და ლიგაში პირველებმა უწიეს 30-ქულიანი ზღვარს. კვლავ საუცხოოდ ითამაშა ბრეტ პალმა, რომელმაც ორ გატანილი გოლი ერთი პასიცი მიყოლა. ბოლო 3 მატჩში პალმა 10 (4+6) ქულა დააგროვა და ლიგის წილი შეიტანა გუნდის წარმატებაში. მისმა პარტნიორებმა იმარჯვეს: მცველი მაკინისი (1+1) მე-9 გოლით თავისი ამპლუის პოკეისტა შორის საუკეთესოა, სტივ დიუშენი (0+2) კი 18 პასით მხოლოდ ლინდროსს ჩამორჩება.

დეტროიტი კვირას ქულებით კი დაეწია სენტ-ლუისს, მაგრამ მისი ლიდერობა კვლავ საფრთხეშია — დეტროიტელებმა ერთი მატჩით მეტი ჩაატარეს და მათ თამაშსაც ვერ უწოდებ საუკეთესოს. ჩიკაგოსთან „ფრთხები“ ძლიერ გადაურჩნენ მარცხს, რადგან მასპინძლები აშკარად უკეთ გამოიყურებოდნენ და მატჩის მსვლელობისას სულ წინ იყვნენ. ძირითადი დროის დამთავრებამდე 8 წამით ადრე ლიდერობა (2+0, 8) იხსნა ლიდერის პრესტიჟი. საინტერესოა, რომ ამ მომენტამდე ერთი წუთით ადრე არატერებმა აშკარა გოლი არ ჩათვალეს: ჩიკაგოელმა ფანომმა ცარიელ კარში გაგზავნა შაბა, მაგრამ მას მსაჯი გადაეღობა და შაბამ კარამდე ვერ მიაღწია.

კოლორადოსა და დეტროიტის შეხვედრებმა უმაღლესი დონე დალასმა და ორი გამარჯვების შემდეგ „ვარსკლავები“ დასავლეთის მოწინავე სამეულს შეუერთდნენ. ცხადია, დალასელებს მეტი შინაშემატა მათი ლიდერის — მაკ მორდანოს გამოჯანმრთელებამ და მათ ერთობ სოლიდურად მოუგეს კალიფორნიის ორ გუნდს. ბოლო ხანს გალალებულ ლოს ანჯელესს გუნდის „სპეციალური ბრიგადები“ გაუსწორდნენ, თვით მორდანი კი, სეზონში მესამედ, უმცირესობაში შეავლო. დანარჩენი ოთხი გოლი მისმა პარტნიორებმა რიცხვმრავლობაში შეატანეს, რაც დალასმა წელს პირველად შეძლო. ნუნენმა 3 (1+2) ქულა დააგროვა. ესეც სათქმელია: დალასელებმა მხოლოდ ერთი გოლი გაატანინეს ლიგაში ყველაზე შედეგიან გუნდს, ლოს ანჯელესს მათ ანაჰაიმიც მიაცილეს, თანაც ახლა უკვე ორჯერ, ორჯერვე — მორდანოს პასით. დალასის გოლიკებმა ედ ბელფორმა კი წელს მე-5 „მშრალი“ მატჩი ჩაატარა.

ვაშინგტონის წამყვანმა დუეტმა — ოუთსმა (1+1, 7) და ბონდრამ (2+0, 12) — შეწყვიტა მონრეალის მეტად იღბლიანი, 7-მოგებანი სერია, „რასისტმა“ საიმონმა კი განაჩენის მოლოდინში 2 პასი გააკეთა.

ფინიქსმა, როგორც იქნა, დასვენა ძირითადი გოლიკები ხაბიბულინი, რომელმაც ზედზედ 60 მატჩი ჩაატარა და სეზონში პირველად მისი შემცველი უაიტი ათამაშა. დებიუტი იღბლიანი გამოდგა, მაგრამ რუსი გოლიკები უკვე ვეღარ დაემუქრება სენტ-ლუისელი ფორვის რეკორდს — 76 მატჩი მიყოლებით.

### სამველ ლარიზიანი

ჩრდილო	აღმოსავლეთი	ატილანტიკა	ცენტრი	სამხალი
მონრეალი	20 13 2 5 6744 28	დეტროიტი	22 13 4 5 7352 30	დეტროიტი
ბოსტონი	20 10 3 7 5147 23	დალასი	22 12 4 6 7055 28	დეტროიტი
ოტავა	21 9 4 8 6053 22	ფინიქსი	19 9 2 8 5753 20	დეტროიტი
პიტსბურგი	22 9 4 9 5959 11	ვაშინგტონი	21 7 2 12 4055 16	დეტროიტი
კაროლინი	21 8 3 10 5862 19	ჩიკაგო	19 6 3 9 3653 15	დეტროიტი
ბუფალო	19 5 4 10 4761 14	ტორონტო	18 6 3 9 3653 15	დეტროიტი
		ფილადელფია	22 13 3 6 6851 29	დეტროიტი
		ნიუ-ჯერსი	19 14 0 5 6034 28	დეტროიტი
		ვაშინგტონი	21 12 2 7 6048 26	დეტროიტი
		აილენდერსი	20 8 4 8 5650 20	დეტროიტი
		რეინჯერსი	20 6 7 7 5150 19	დეტროიტი
		ფლორიდა	19 6 4 9 4257 16	დეტროიტი
		ტამპა	19 2 2 15 3368 6	დეტროიტი
		სენტ-ლუისი	21 14 2 5 6945 30	დეტროიტი
		დეტროიტი	22 13 4 5 7352 30	დეტროიტი
		დალასი	22 12 4 6 7055 28	დეტროიტი
		ფინიქსი	19 9 2 8 5753 20	დეტროიტი
		ჩიკაგო	21 7 2 12 4055 16	დეტროიტი
		ტორონტო	18 6 3 9 3653 15	დეტროიტი
		კოლორადო	21 10 6 5 6152 26	დეტროიტი
		ლოს ანჯელესი	21 9 4 8 7260 22	დეტროიტი
		ანაჰაიმი	21 8 5 8 5459 21	დეტროიტი
		ედმონტონი	20 5 5 10 4667 15	დეტროიტი
		სან ხოსე	21 6 1 14 5369 13	დეტროიტი
		ვანკუვერი	21 5 3 13 5374 13	დეტროიტი
		კალგარი	21 3 5 13 5371 11	დეტროიტი

# პატარა გორი პართლა დილა,

## პარიანი კი ლას მამასზე გაბრუნდები

წინა კვირის გორში დიდი ზეიმი იყო. მადლიერმა სპორტის ქომაგებმა და გორის თავაკობამ შეხვედრა მოუწვევს გორულ სპორტსმენებს, სახელოვან თანაკლუბელებს, რომელთაც თავიანთი გამარჯვებებით გორიც ასახელეს და საქართველოც. გორში რომ სპორტი უყვართ და აფასებენ, ამ დღემაც დამარწმუნა: ქალაქის კულტურის სახლის დარბაზი გადაკედლილი იყო, ხალხი სიყვარულს უცხადებდა სცენაზე მყოფ გოლებს დილიც.

ციის პრეზიდენტმა ნოდარ ექვთიშვილმა სალალობო ანაბეჯი ტყაშვილი, რომელიც გორის გაუცქორდნა შედეგს, თვით დროს ექვთიშვილმა საქართველოდან ბევრი მოჭიდავე მოკრივე და კარატისტი წაიყვანა იაპონიას, ბიჭები იქ პროფესიული კონკრეტული კლუბებში ასპარეზობდნენ და უხელფასოდ და ლუხვარად დარჩენილი ორიოდ კაპიტანს მოულოდინეს, თანაც სპორტში დარჩენის შანსსაც ითხოვნდნენ. ერთი ხანობა გიორგი კანდელაკიც



გიორგი კანდელაკი



გიორგი ვაზაგაშვილი



დავით პოლოსიანი



სოსო ახალბედაშვილი

ჭებს: მსოფლიოს ჩემპიონს კრიეში გიორგი კანდელაკს, ევროპის ჩემპიონსა და მსოფლიოს ბრინჯაოს პრიზიორს, მიულონტ გიორგი ვაზაგაშვილს და სამსონ მსოფლიოს ჩემპიონს სოსო ახალბედაშვილს. „გორულ ტრუმფატორებს“ ერთ სპორტსმენი აკლდათ — თავისუფალ ჰილდაობაში ევროპის ჩემპიონ დავით პოლოსიანი, რომელიც მაკედონიაში და ერთ-ერთ იქაურ კლუბში კონკრეტულად არ აკლდათ ბიჭებს. მართლაც: ქართული სპორტის წლებადნულ მიღწევებში გორელებმა ლომის წილი დაიდეს. ერთიც ნიშანდობლივია — საქართველოს სახელით, 1991 წელს აქეთ ევროპისა და მსოფლიოს პირველი ჩემპიონები გორელები არიან. 1993 წელს მოჭიდავე ზაზა ზოზიოვი გახდა ევროპაში პირველი, გიორგი კანდელაკმა კი წელს საქართველოს სახელით მოგებულ მსოფლიოს ჩემპიონის მედლების ათვლა დაიწყო.

სპორტსმენებთან შეხვედრა რიგაში გამოვიდა ორგანიზატორებს და ქართული ტრადიციისამებრ, ქალაქის ხელმძღვანელებმა და გორის რჩეულმა საზოგადოებამ გაშლილ სუფრასთან გააგრძელეს სახელოვან სპორტსმენთა ტემა-ფერება. ბერი ლამაზი სადღეობილი ითქვა, მაგრამ ერთის წარმოთქმისას სამბოს ფედერა-

ტი, ასეთ ბიჭებს მოუწვევს შეხვედრა გორელებმა, ორატორები „ოქროს ბიჭებად“ რომ მოიხსენიებდნენ და მატჩი მათ მიერ მოგებულ მედლებს არ გულისხმობდნენ. ეს ოთხეული სამბობლის სიყვარულით, ალალი ვარჯითა და ქვეყნის ღირსეული მამასხურით არის დასაფასებელი.

სათუნა პაიბაძე

## ბავშვთა კვება

# Gerber

ახალი სიცოცხლის

## შეუპყნიერესი დასაფყისი

ამერიკული და მსოფლიო ბავშვის აღიარებული ლიდერის ბარბარის პატარა ქილაკში

თქვენი შვილების გოლიათური ჯანმრთელობა



### „აქრეციების“ ტურნე

VI თამაში, I ტესტი. 15.11. ლიონი, ლე სტად ვერლონი

#### საზრანბაში 32:36 აზრია

(9:19). მსაჯე დერიკ ბეიანი (უელსი)  
საზრანბაში: სადურნი; ლეფლაზონი, ლამბონი, გლასი, სანტანდრე მბე; ლაკრუა, ვალთიე - კალიფანი, დალმაზო, ტურნერი; პელუ (მერლი), ბრუ-ზე; ბენდონი, კაბანი, ბენაზი. — 3ლ: მერლი (68), კალიფანი (74), გლასი (79); ა (79) და ნს (8, 17, 22, 47, 51); ლამბონი  
საზრანბაში: მონტგომერი; სმოლი, სნაიპანი, მიური, როსუ; პონიბალი, ფანდერვესტიონი (სოფნეპული) — დორანი, დოლანი, გარვი; ენდროუზი, ლტ; ვრაზბუსი, ფენტერი, ტაიბანი პბს. — 5ლ: მიური (21), მონტგომერი (29), როსუ (37), დოლანი (54), სმოლი (60); 4გ (-29) და ს (57); პონიბალი

### „ველაბების“ ტურნე

VI თამაში, მხოლო ტესტი. 15.11. ლონდონი, თვიენტი. 74 თასი მყურებელი

#### ინგლისი 15:15 ავსტრალია

(9:5). მსაჯე (დრო) ანდრე უოტსონი (სამხრეთი აფრიკა) (43 + 47 წუთი)  
ინგლისი: პერი; რიხი, გრინუდი, დეგლენვილი (გრინსონი 8-24), ადვარი (პილი 69); პეტი, ბრაკნი — ლენარდი, ლონგი (კოკილი 16-18, 44), გრინი; ჯონსონი, არჩერი; დალილი კბს, პილი, დიპოუზი. — 5ს: პეტი (6, 32, 37, 69, 85)  
ავსტრალია: ლარკემი; თინი, პორანი, პოვარდი, როფი; ფლელი, გრეგანი — პარი, ფოლი, ბლუდსი (პილი 58); ლენგერდი, ილზი პბს; ფინეგანი, რობინსონი (ვილსონი 44), ოფენგუე. — 2ლ: გრეგანი (27), თინი (64); 4გ (64), ს (81); როფი



ნაწიადრე ბლომად იყო აბრავანი თუ ტაქტიკური დარტყმა, იქნებ შეტოკებს სველი ბურთი გაუვარდესო

„ბრიტში ბაზის“ სერია  
„იკენგურუთა“ კაბიტანი, სერიის MVP ლორდერილი და გორდენ-ტალოსი ავსტრალიის სუპერ-ლიგის და მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონ ბრისტონის „ბრონკო უაი“ თამაშობენ  
ტესტი. 15.11. ლიფსი. ელანდ როუდი: ბრისტონი 20 (2) (3 ლელო: პოუტონი 2, რობინსონი; 4 გოლი: ფარული) — ავსტრალია 37 (25) (7ლ: სელიორი 2, ნაგასი, დევილი, თორნი, სმიტი, კერნსი; 4გ: გერდლერი; ფილდ-გოლი: ლოკიარი) (39 თასი მყურებელი). სერიის 1-2

## რად გვისტავენტო?

საზრანბაშით ოქტომბერში „ლათინა თასი“ კი შეინარჩუნა, მაგრამ თამაში არ მოუგია, უდიდესი ბურთობით უქმარყოფილო ქომაგებს ვუნდისთვის რომ არ ესტავენტო.  
სტუმარ აფრიკელებთან პირველ შეტანაშიც იგივე ამბავი გამოვიდა. ერთი ეგ იყო, რომ მასპინძლებმა ულამაზოდ წააგეს მსოფლიო ჩემპიონებთან.  
სათის თავზე „აქრეციების“ ხუთი ლელო ქონდათ გატანილი, „ამაღლებს“ — ხუთი ეგონ. ანგარიში 15:36 იყო. სტუმართა ვეტერანი ჩემპიონი კიდის ხაზთან რომ გაიფურსა, მერე კი სირბილის ნაცვალად ნაბიჯით შეეღივანა ფრანგების ლელოში, ამან ლიონელი მყურებელი მთლად შეურაცხყო და საკუთარ გუნდს ქოქოლა დააყარა.  
შეუცხოვრებამ გაჭრა. ფრანგები აბურთავდნენ და სამი ლელოც გაიტანეს, მაგრამ სადაც საპრობლემო იყო, იქ შეტოკებს მაინც ვერ დაეწვივნენ და ახლა ამ შაბათს, პარიზში გასამართი მეორე ტესტის იმედოდ არიან.

88 კეპის ბატონი, 26 წლის ოუსტ ფანდერვესტიონ-იზენისთვის ეს ტურნე დასრულდა საზარდოდ დაშავებული კვირას შინ გააფრინეს



ნამატრეპს აფრიკელთა კაბიტანმა ვარი ტაიბანმა შეინიშნა, მატჩი ფრიადო ტესტი იყო; ორმა ფრიადამ ტესტი-გუნდმა სასწაულად იომა და იბურთავაო.

პეშარიტად, რაგბი დიდებული სანახავი ყოფილა. ტაიბანმა და სტუმართა სხვა მეტამე ხაზელებმაც თავი ერთობ გამოიჩინეს შეტოკების ბოკითა და გარდვე-ვეებით, მაგრამ მატჩის ნაღდი გზის მანქანა მერეცაზე-ალი კრანაუ ოტო იყო, ვისაც ტესტი-არენაზე აქამდე ღირსსახვით ვერაფერი გაეცუბებინა. ლიონში ამ მუტრუკმა დერეფანშიც რიგგანად ითამაშა და ლაშიც ერთ თავად ბურთთან იყო; ევაკ დოლტონსაც დროულ-ლი მიწოლით გაატანა ლელო.

16 ნომრად გააწესებულმა ქეითათუნებმა პერსი-ვალ მონტგომერიმ საწყისი მდღეგარემა მალე დაძლია და უნაკლოდ ითამაშა, „დანის პირად“ წოდებულმა 10 ნომრმა ჰენრი ჰონიბალმა კი ფრანგთა დაცვა ხომ ბე-ერჭერ გაჭრა და კარშიცა და ტაქტიკურადც ყოჩაღად ურტყა. რაც შეეხება ფრანგებს, მათი 9 ნომერი გალ-თიე 10 ნომერ ლაკრუსა ვერ ამარაგებდა კარგი ბურთით, მეტისმეტ დინამიკას გამოკიდებულმა შერტი-ნებამ კი მაშინდა იმძღავრა, როცა ზორზონი ოლივიე მერლი დაემტა.  
„აქრეციების“ დიდი გამარჯვებით ბოლომდე მანქანა ვერ გაიხარეს. მათ კაღნიერ ლიდერ ფანდერვესტიონ-იზენს ბოლო წუთზე საზარდულის კუნთი გაუწყდა და სამი თვე ვეღარ ითამაშებს. არადა, პრეტორიელი 9 ნომერი ოუსტი ამ ტურნეზე დიდ იმედს ამყარებდა და გასად თავისი „ლურჯი ხარების“ მიტოვებაც მტკიცედ გადაუწყვეტა. ამბობს, ჩემი პროვინცია ისე ყველა-სულ სტილში თამაშობს, რომ ვერც შესაძლებლობებს ვაგველენ სრულად და არც ეგეთი რაგბი მომწონსო.

## სპორტული „უბაღლოთა“ ყოველი მეტოქე

ბრიტანეთში მე-14-ედ მოგზავრ „ოლ ბლექსი“ თიკუნი უკვე გამოუჩნდა. შედიამ ჯონ პარტის მძლე-თამბლე გუნდს „უბაღლონი“ (Incomparables) შეარქვა.  
შელანდიელებმა მეტსახელის სისწორე ტურნეს პირველსვე ტესტი დაამტკიცეს. მართალია, საწყის ნახევარ საათში საკმაოდ მოსდლიდათ ლაფუსი და ირლანდიას ანგარიში ორგერ ჩამორჩნენ, მაგრამ მეორე ნახევარი გადასარევალ წარმართეს, რაც უშველებულ-ანგარიშიანი მოგებით დაგვირგვინდა. ამაზე პართმა თავმდაბლად განაცხადა, თამაშის ხარისხმა გამახარა, თორემ ჩემთვის სხვაობას მნიშვნელობა არა აქვს — ყოველგვარი გამარჯვება ტაბილიაო.  
შელანდიას ტრავმის გამო აჯღდა ბებერი კაბიტანი, კვაში შონ ფთისატარევი. სამაგიეროდ, ირლანდიას სარდ-ლომდა ასევე კვაში კის ვულდი, „ლოპების“ აფრიკულ ტურნეზე ყველას დაახსობა თავი. ამ ვაჟაკმა

## მოუშუართა ფრე მის დაავსრებს?!

შაბათის ინგლისმა და ავსტრალიამ 21-ედ ითამა-შეს, ფრე კი მათ შემბამი პირველად აღიწახა. რაკი ამკვარი შედეგი თანამედროვე რაგბში იშვიათობად ქცეულა, გასაკვირი არ ყოფილა, რომ ორივე გუნდი უქმარყოფილო დარჩა.  
ტელე-რადიო-კომპანია „VII არხის“ წყალბოთ თვიენმის მატჩს იქ მართვედმა ქომაგებმაც უფურეს ვისაც შაბათს, საღამოს 7 საათზე შეუქი ქონდა, ანაც დენის ალტერნატიული წყარო მოეძებნა. უმკველია, ორი სა-ხელმოხვეტილი გუნდის რაგბობის დონით ჩვენებიც არანაკლებ გულწაკლული დარჩებოდნენ.  
დაიბ, თამაში პროფესიული ხანის ტესტი-რაგბის კვა-ლომარზე ვერ ვარგოდა. კი ბატონო, კი-ო-ფაქტე ერთი საათი რომ დარჩა, ლონდონში იწვიმა. ორივე გუნდსაც ახალი შევრთვითი უაუგ, ინგლისს კი ერთმახად ხუთი ახალბედაც დაეყენებინა თხოთმეტეტულში, მაგრამ ამდე-ნი ტექნიკური წუთი თუ ტაქტიკური შეცდომა მაინც არ შეეფერება ნაქვე უცხოურ რაგბს.

ავსტრალიის „ველაბების“ ბრიტანეთში ჩასვლამდე არგენტინაში წაგება მოახერხეს და ვახელდნენ. ინგლისს ამ შაბათსვე შეღანდის „ოლ ბლექსთან“ ელის ტესტი. წინა შაბათს ორივე გუნდის მფურისობაც და მედიაც დიდ, ეშხიან ბურთობას გეგავდა, მაგრამ ნაწვეტ-ნაწ-ვეტი თამაშის მეტე ვერაფერი იგმა.  
გამარჯვება როგორც ერთ, ასევე მეორე გუნდს შე-ეძლო, მაგრამ თამაში „ველაბების“ მაინც ჭობდნენ ინგლისს და თუ ვერ მოგეს, იმას უნდა დაბარდონ, რომ მათი ორმეტრა კაბიტანი, დერეფის კარუზი და დიდი მოპოვრითი ჭონ ილზი რაღაც კირად კარში და-მრტყმედილა. შაბათს კი მარცხიანი დეე გაუთენდა და კარს იოლი მოზიციებდან 4-ჯერ ააცილა ბურთი.

ეს, რა თქმა უნდა, „ველაბთა“ მარცხის ზედამირული მიზეზია. ასეთსავე საბუთად ინგლისისთვის მათი 10 ნომერი მაიკ ქეთის უვარისობა ივარგებს. ამ უნივერსალმა ბექმა ვერც უფანა ხაზი აბურთავა და კარში დარტყმე-ბის გამოკლებით ვერც სხვაფრივ ითამაშა ფეხით რიგე-ანად, თუმკვი ინგლისის ყველა ქულა მის ანგარიშზეა. და

### „ოლ ბლექსის“ ტურნე

III თამაში, მხოლო ტესტი. 15.11. დუბ-ლინი. ლენზდაუნ როუდი (15:27). მსაჯე ტონი სპრედბერი (ინგლისი)

#### ირლანდია 15:63 ზელანდია

ირლანდია: ნოლანი; პიკი, პენდერსონი, მაქკოლი, მაკეიანი (შეგსი); ელუდი, მაკენისი (ოპირა) — უოლისი, ეუდი პბს (ნიზდელი), პოლუელი; ოქე-ლი, ჯონსი; პალი (ერსკინი), დოუსონი, მილერი. — 2ლ: ეუდი (18, 29); 2გ (18), ს (8); ელუდი  
ზელანდია: ქაღენი; ვილსონი, ბანსი (მაკლოდი), იერგია, ოზბორნი; მერთენსი (პრესტონი), მარშალი პბს — დაუდი, პოუტი, ბრაუნე; რ. ბრუკი (რაი-კლმანი), ზ. ჯოუნსი; რენელი, ბლუერსი (კრონ-ფელდი), ზ. ბრუკი. — 7ლ: ვილსონი (21, 54), მარ-შალი (40), ოზბორნი (46, 74), მერთენსი (58), იერ-გია (69); 5გ (-21, 69), 6ს (5, 15, 31, 34, 38, 52); მერთენსი



დუბალინიზი ჩეფ ვილსონმა ორი ტესტი-ლე-დოაც გაიტანა, ენდი მერთენსმა კი საიმდლო 33 ქულით სატესტო მონგარი 300-ს გადაამტა

თავისიანებ ამჭერდაც ისე დარაზმა, რომ „სამყურები“ ლომებსავით ეცვიენენ სტუმრებს. მით უფრო, თუ წინაღობი ეწყობა, დამალი მოცდანი კი, მოგესხენებით, შსნებს ათანარებს ხოლმე.  
ეულმა ორი ლელო პირადად გაიტანა: პირველად დერეფანში აილო ბურთი, თანაგულდებლი კი ისე მოაწ-ნენ, რომ კარის ხაზს იქით გადააღწია. მეორედ, მილიერმა ბურთი ფეხით წინ რომ გააგორა, მორკინალმა ქისმა სიკისკასეში თვით შეღანდიელთა „მფრინავ გარემარბ“ ვილსონს აჭობა.  
მერე ვულს კოჭი ეღრო; შესვენების შემდეგ მოედანს აღარც დაბრუნებია. უფორი გუნდს აშკარად წაუხდა ნირი და რაც მოვარია, „ოლ ბლექსიც“ ათამაშდა.  
ირლანდიას მეტი ბურთი რომ აღარ გაუტანია, ეულმა აღიარა, ძალზედ ძნელაა რაგბის თამაში, თუ 25 წუთის მანძილზე უზურთოდ დატოვებენო!

### აზროსნობა

#### ვითბრედის გარსაქვევნი ნაოსნობა

#### პოლპოს თასზე

II სტადია. ქეითათუნი — ფრინეთლი

8 - 24 ნოემბერი (4600 მილი)

ვითარება ბაშინ, გრინვიჩის დროით 06.00 საათზე

იახტა	დროშა	ქე	სკიპერი	დარა
სვიდიშ მერ	შვედეთი	6	კ. კრანიცი	2160.5
ინოვენიშენ კვერნერ	ნორვეგია	97	კ. ფროსტი	+284.2
ტომობა	აშშ	60	პ. სთენდროვიტი	+476.7
ი-ფ ლენგვიე	შვედეთი	125	პ. კიორდი	+663
სილქ ქათ	ბრიტანეთი	84	ლ. მითი	+687.6
ნესი რეისინგ	აშშ	72	ფ. ფიშერი	+697.9
ი-ფ ედუქიშენ	შვედეთი	24	კ. გოუ (ქალი)	+745.4
მერიო ქაუ	მონაკი	110	კ. დოლთონი	+745.9
ბრიუნელსანერედი	პოლანდია	12	პ. ბუსხოლი	+764.3

### ბალშეკულან, ციხატი

სამხრეთში ოკენემ ზაფხული არ იცის. მგრგვინებმა 40-იანმა განსულებამ ავი ზეე შეკესნეს ნაოსნობის მონაწილეებს.  
ლიდერები საზარულ 50-კვანა ქარბუქში მოყვნენ. „მექს“ სა-პის ბორბალი დაუშინადა, „ინოვენიშენს“ კი მაველი ბაგირების სადგამი გადატყდა და გემბანს ისე დაენარტვა, რომ კორპუსში ხერღები გაჩაჩნა. ზღვაოსანთა მთვლებმარ ცვლას უშაბ გაელ-კობა და რა იგრინო გალუმპული საძილე ტომრები, უშაბ დაასნა, ფინიშამდე აღარ გვეღირება გავრობა და გათობაო.  
ყველაფრის მიუხედავად, შეგზობი მაინც გრძელდება. ლიდერ-თა სიჩქარე 15 კვანის ფარგალშია. კვირას მოწინავე სამუღლს მიღმა დარჩენილი ფლოტმაც იხელთა ზურგქარი და ბოლო 24 საათში ლიდერებს სხვაობა 200 მილით შეუმცირა, თუმკვი ჩე-რაც ბლომად აგებს. და კიდევ, დაცვა ნავი ბოლო აღარაა

#### მინო ნინუა

ათოვს „სვიდიშ მერს“!

### არა უეჯდა მყური ხსია

18-კაცა ბურთობაში ავსტრალიამ ისევე დაამტკიცა ძალა. „იკენგურუებს“ დასაწინაურებლად გალა-მწყვეტ ტესტში 46 წამში იყვით, პირველი ნახევარი 26:2 მოგეს, მეორეში კი 37:8 რომ იგებდნენ, მერე-ლა მოეშვენ.  
ბრიტანეთმა სამხრეთელ მეტოქეს სერია ბოლო-ჩერ 1970 წელს მოუგო. როგორც „ფრანს-პრენსა“ შენიშნა, ამჟამინდელი 17 „ლომინდა“ იმხანად 13 და-ბადებულიც არც იყოო.

#### ნიკოლოზ მაზარაშვილი

ინგლისს ამის შემდეგა მიეცა უნადღესი სადღელო შენა: ბრაკენის გარდევით ადგილობ მლელს უწია, მა-გრამ ზედ ხაზთან დასცილდა. ზანგი დაშავდა და შეცვალეს, ქეთმა კი შედარბოში დანიშნული საქარბოთი გაათ-ნარა ანგარიში 12:12.  
მერე გაჩაღდა აბრავანები, მიხდომები და უჯანა ხაზთა აგრესიული ჩაბურვა. ქეთმა მიჯანს კიდევ ორჯერ ააცი-ლა, თოუწის რეიდი კი როფის გოლით დასრულდა 12:16. ინგლისმა თავისვე ნახევრიან შემუტა, მერე „ველა-ბების“ ოთხი ფაზა ინარჩუნეს ბურთი, მაგრამ რომ დაკ-არეს, წინ გაჭირილი ქეთი ლარკემმა უზურთოდ წაქცია. მათს კარგა ხანს წამოღებდნენ, მაგრამ 35 მეტრიდან მა-ინც მარტყელ დაკრა 16:16.  
კვანში ამითაც არ გახსნილა. ჩერ ქეთმა 58 მეტრიდან ცადა საქარბოს გატანა, მაგრამ კარს ვერ მიატანა. მერე „ველაბებმა“ კონტრ-თამაში გააჩაღეს და კარიდან 45 მეტრის მოშორებით საქარბოც დაიხსნურეს, მაგრამ ახლა როფმა გაგზავნა ჩანდაში ბურთი.

### სარბიელი

სპორტული ვაზეთი

გამოდის ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი: ვსურაბ ფოცხვაპირია

რედაქტორი: თამაზ მიგრიაშვილი

სარედაქციო კოლეგია: ილია ბაბუნაშვილი, პასტანბ ბოშიაკი, შაალ ბიბინიშვილი, ვსურაბ მიჰეშვილი

ფეხბურთის განყოფილება: ლამა გოლაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მერაბ მამულა-შვილი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება: ილია მხეიძე, ავთანდილ სვანიძე, ლევან ჯავახიშვილი

კორესპონდენტი ქუთაისში: იურა კაციტაძე

კორესპონდენტი ლონდონში: დავით მჭედლიშვილი

ფოტორეპორტიორები: გურამ დოღვინაშვილი, ბადრი კთილაძე

სტოლის სტუბო: მათა აბუნიანიძე, ნათელა გიორგობიანი

კომპოუტერული ცენტრი: ელენე გულუტაშვილი, ნინო დე-ვაძე, სვეტა დევაძე, ვანო კიკნაძე, ლევან ჩხეიძე, გიორგი ზარატაშვი-ლი, ბელა ზატიაშვილი, გურამ ხე-ლაშვილი

გამომცემი: ვსურაბ ინაშვილი

დირექტორი: ბიორგი ოქროშიაშვილი

დამფუძნებელი: შეზღუდული პა-სუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამარ-თი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29